პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი
12 ოქტომბერი
1939 წ.
№ 235 (5635)
ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტვის რესპუბლიკისათვის ქალაქ ვილნოს და ვილნოს ოლქის გადაცემისა და საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების შესახებ

8-10 ოქტომბრის განმავლობაში მოსკოვში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. მოლოტოვსა და ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ურბშისს შორის სწარმოებდა მოლაპარაკება ლიტვის რესპუბლიკისათვის ქალაქ ვილნოს და ვილნოს ოლქის გადაცემისა და საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების საკითხზე. მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ ამხ. სტალინი, პოტიომკინი და სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებული ლიტვაში ამხ. პოზდნიაკოვი, ხოლო ლიტვის მხრით ლიტვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ბიზაუსკასი, ლიტვის არმიის სარდალი გენერალი რაშტიკისი და ლიტვის ელჩი მოსკოვში ბ-ნი ნატკევიჩიუსი.

მოლაპარაკება დამთავრდა იმით, რომ 10 ოქტომბერს ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ლიტვის რესპუბლიკისათვის ქალაქ ვილნოს და ვილნოს ოლქის გადაცემისა და საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის ურთიერთდახმარების შესახებ.

ხელშეკრულება ლიტვის რესპუბლიკისათვის ქალაქ ვილნოს და ვილნოს ოლქის გადაცემისა და საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის ურთიერთდახმარების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ერთი მხრივ, და ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, მეორე მხრივ, იმ მიზნით, რომ განვითარდეს 1920 წლის 12 ივლისის სამშვიდობო ხელშეკრულებით დაწესებული მეგობრული ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია მეორე მხარის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისა და მის შინაურ საქმეებში ჩაურევლობის აღიარებაზე;

აღიარებენ რა, რომ 1920 წლის 12 ივლისის სამშვიდობო ხელშეკრულება და 1926 წლის 28 სექტემბრის ხელშეკრულება თავდაუსხმელობისა და კონფლიქტების მშვიდობიანად გადაჭრის შესახებ წინანდებურად წარმოადგენენ მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და ვალდებულებათა მტკიცე საფუძველს;

დარწმუნებულებმა, რომ ურთიერთი უშიშროების უზრუნველყოფის ზუსტი პირობების განსაზღვრა და პოლონეთის მიერ ლიტვისაგან უკანონოდ მოგლეჯილი ქ. ვილნოს და ვილნოს ოლქის სახელმწიფოებრივი კუთვნილების საკითხის სამართლიანად გადაჭრა ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის ინტერესებს შეესაბამება,

საჭიროდ სცნეს დასდონ ურთიერთშორის ქვემოთ მოყვანილი ხელშეკრულება ლიტვის რესპუბლიკისათვის ქალაქ ვილნოს და ვილნოს ოლქის გადაცემისა და საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის ურთიერთდახმარების შესახებ და ამ მიზნით თავიანთ რწმუნებულებად დანიშნეს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა:

ვ. მ. მოლოტოვი, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი,

ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტმა:

იუოზას ურბშისი, საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელი რწმუნებულნიც, თავიანთ რწმუნებათა ურთიერთ წარდგენის შემდეგ, რწმუნებათა, რომლებიც ჯეროვანი ფორმითა და სათანადო წესით შედგენილი აღმოჩნდა, შეთანხმდნენ ქვემომოყვანილის შესახებ:

მუხლი I.

სსრ კავშირსა და ლიტვას შორის მეგობრობის განმტკიცების მიზნით ქ. ვილნოს და ვილნოს ოლქს საბჭოთა კავშირი აძლევს ლიტვის რესპუბლიკას მათი ლიტვის სახელმწიფო ტერიტორიის შემადგენლობაში მოქცევით და სსრ კავშირსა და ლიტვის რესპუბლიკას შორის საზღვრის დაწესებით დართული რუკის თანახმად, ამასთან ეს საზღვარი უფრო დაწვრილებით აღწერილი იქნება დამატებით ოქმში.

მუხლი II.

საბჭოთა კავშირი და ლიტვის რესპუბლიკა ვალდებულებას კისრულობენ აღმოუჩინონ ერთმანეთს ყოველგვარი დახმარება, მათ შორის სამხედრო დახმარებაც, ევროპის ყოველი სახელმწიფოს მხრივ ლიტვაზე თავდასხმისა ან თავდასხმის საფრთხის შემთხვევაში, აგრეთვე ლიტვის ტერიტორიით საბჭოთა კავშირზე თავდასხმისა ან თავდასხმის საფრთხის შემთხვევაში.

მუხლი III.

საბჭოთა კავშირი ვალდებულებას კისრულობს შეღავათიან პირობებში აღმოუჩინოს ლიტვის არმიას დახმარება საჭურველითა და სხვა საომარი მასალით.

მუხლი IV.

საბჭოთა კავშირისა და ლიტვის რესპუბლიკა ვალდებულებას კისრულობენ ერთად განახორციელონ ლიტვის სახელმწიფო საზღვრების დაცვა, რისთვისაც საბჭოთა კავშირს უფლება ეძლევა ლიტვის რესპუბლიკის პუნქტებში, რომლებიც დაწესებული იქნება ურთიერთ შეთანხმებით, იყოლიოს თავის ხარჯზე საბჭოთა სახმელეთო და საჰაერო შეიარაღებული ძალების მტკიცედ განსაზღვრული რაოდენობა. ამ ჯარის ზუსტი ადგილსამყოფელი და საზღვრები, რომლებშიაც იგი შეიძლება განლაგებულ იქნას, მისი რაოდენობა თვითეულ ცალკე პუნქტში, აგრეთვე ყველა სხვა საკითხი, როგორიცაა სამეურნეო, ადმინისტრატიული, საიურისდიქციო ხასიათის და სხვა საკითხები, რომლებიც წამოიჭრება ლიტვის ტერიტორიაზე საბჭოთა შეიარაღებული ძალების ყოფნასთან დაკავშირებით, ამ ხელშეკრულების თანახმად რეგულირებული იქნება განსაკუთრებული შეთანხმებებით.

ამ მიზნისათვის საჭირო ნაკვეთებს და შენობებს ლიტვის მთავრობა საბჭოთა კავშირს გადასცემს იჯარის უფლებით ხელსაყრელ ფასად.

მუხლი V.

იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება ლიტვაზე ან ლიტვის ტერიტორიით სსრ კავშირზე თავდასხმის საფრთხე, ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე დაუყოვნებლივ განიხილავს შექმნილ მდგომარეობას და მიიღებს ყველა ზომებს, რომლებიც საჭიროდ იქნება ცნობილი ურთიერთ შეთანხმებით, ხელშეკრულების დამდებ მხარეთა ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისათვის.

მუხლი VI.

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობს არ შეჰკრას რაიმე კავშირი და არ მიიღოს მონაწილეობა ხელშეკრულების დამდები ერთერთი მხარის წინააღმდეგ მიმართულ კოალიციებში.

მუხლი VII.

ამ ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარება ოდნავადაც არ უნდა შეეხოს ხელშეკრულების დამდები მხარეების სუვერენულ უფლებებს, კერძოდ მათს სახელმწიფო წყობილებას, ეკონომიურ და სოციალურ სისტემას, სამხედრო ღონისძიებებს და, საერთოდ, შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს.

საბჭოთა სახმელეთო და საჰაერო შეიარაღებული ძალების სამყოფი ადგილები (ამ ხელშეკრულების მუხ. IV) ყოველ გარემოებაში რჩება ლიტვის რესპუბლიკის ტერიტორიის შემადგენელ ნაწილად.

მუხლი VIII.

ამ ხელშეკრულების იმ ნაწილის მოქმედების ვადა, რომელიც შეეხება ურთიერთდახმარების ვალდებულებებს სსრ კავშირსა და ლიტვის რესპუბლიკას შორის (მუხ. მუხ. II - VII), არის თხუთმეტი წელი, ამასთან, თუ ხელშეკრულების დამდები ერთერთი მხარე ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე არ სცნობს საჭიროდ ამ ხელშეკრულების ვადადათქმულ დადგენილებათა დენონსირებას, ეს დადგენილებანი ავტომატურად ძალაში რჩებიან კიდევ შემდგომი ათი წლის განმავლობაში.

მუხლი IX.

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის რატიფიკაციის აქტების გაცვლა-გამოცვლის შემდეგ. აქტების გაცვლა-გამოცვლა მოხდება ქალაქ კაუნასში ამ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ექვსი დღის განმავლობაში.

ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ორიგინალად, რუსულ და ლიტვურ ენაზე, ქალაქ მოსკოვში, 1939 წლის 10 ოქტომბერს.

ვ. მოლოტოვი **ი. ურბშისი**

საბჭოთა კავშირ-ლიტვის ხელშეკრულება

მშვიდობიანობის, ხალხთა კეთილმეზობლური ურთიერთობისა და მეგობრობის საბჭოთა პოლიტიკა ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს. მოსკოვში 10 ოქტომბერს ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ლიტვის რესპუბლიკისათვის ქალაქ ვილნოს და ვილნოს ოლქის გადაცემისა და საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის ურთიერთდახმარების შესახებ.

ამ ხელშეკრულებით ლიტვასთან, ისევე როგორც წინათ ესტონეთთან და ლატვიასთან დადებული ხელშეკრულებებით, საბჭოთა კავშირი უზრუნველჰყოფს თავისი საზღვრების უშიშროებას და კიდევ უფრო განამტკიცებს თავის თავდაცვას. საბჭოთა კავშირი სპობს საფრთხეს, რომელიც არსებობდა სსრ კავშირის მეზობელ სუსტად დაცულ სახელმწიფოთათვის იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრით. ასე იქმნება საბჭოთა თავდაცვის რკინის რკალი მთელ ბალტიისპირა მხარეში. ასე იქმნება მტკიცე მშვიდობიანობა აღმოსავლეთ ევროპაში.

ჩვენი სამშობლოს ხალხები უდიდესი კმაყოფილებით შეხვდებიან ახალი ხელშეკრულების დადებას, რომელიც განამტკიცებს საბჭოთა კავშირის ძლიერებას, ჰქმნის ახალ ბარიერს ყოველგვარი იმპერიალისტური ოინების მიმართ. საბჭოთა კავშირის ხალხები მიესალმებიან ბრძნულ პოლიტიკას თავისი მთავრობისას, რომელმაც შესძლო მეზობელ სახელმწიფოებთან ხელშეკრულებათა სისტემით საბჭოთა ქვეყნის ხელშეუხებლობისა და მყუდროების დაცვა.

ევროპის ომის პირობებში მშვიდობიანობის სტალინურ პოლიტიკას მტკიცედ, განუხრელად და თანმიმდევრობით ერთიმეორეზე გამოჰყავს ცეცხლის შესაძლებელი ხაზიდან მცირე სახელმწიფოები, რომელნიც ვერ შესძლებდნენ საკუთარი ძალებით თავისი ხელშეუხებლობისა და დამოუკიდებლობის, თავისი მოსახლეობის უშიშროებისა და მშვიდობიანი შრომის დაცვას. საბჭოთა კავშირ-ლიტვის ხელშეკრულების დადება განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია. ხელშეკრულება წარმოადგენს ახალ და უმნიშვნელოვანეს რგოლს საბჭოთა კავშირ-ლიტვის მეგობრული კავშირურთიერთობის განმტკიცების იმ პოლიტიკაში, რომელსაც საბჭოთა მთავრობა თითქმის 20 წლის განმავლობაში ატარებდა. სსრ კავშირსა და ლიტვას შორის დადებულ ხელშეკრულებაში ყველაზე მეტი სისრულით გამოხატულია ორი მეგობრული სახელმწიფოს ურთიერთდახმარების პრინციპი, ლიტვის სახელმწიფო საზღვრების ერთად დაცვის პრინციპი.

ლიტვის სახელმწიფო წარმოიშვა ვერსალის ზავის მიხედვით მსოფლიოს გადანაწილების მერყევ ვითარებაში. დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოები საკუთარი თვითნებობით ეწეოდნენ ევროპის საზღვრების გამოჭრას. ლიტველი ხალხი გაჭირვებით იცავდა თავის დამოუკიდებლობას უთანასწორო ბრძოლაში პოლონელ დამპყრობლებთან და მათ მფარველებთან. საბჭოთა მთავრობამ 1920 წელს პირველმა სცნო ლიტვის რესპუბლიკა, გაუწოდა მას დახმარების ხელი. საბჭოთა მთავრობის შემდეგ ლიტვა სცნეს სხვა სახელმწიფოებმაც.

პოლონეთის სამხედრო ხროვამ 1920 წელს ყაჩაღური თავდასხმით ხელში ჩაიგდო ვილნო, ლიტველი ხალხის ძველი დედაქალაქი. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა თავისი ლოცვა-კურთხევა მისცეს ამ აშკარა ძარცვას. მხოლოდ საბჭოთა მთავრობამ განაცხადა მაშინ კატეგორიული პროტესტი. იგი არასოდეს არ სთვლიდა ვილნოს პოლონეთის ქალაქად.

საბჭოთა ხალხი თანაგრძნობით ეკიდებოდა ლიტველი ხალხის ბრძოლას პოლონელ პანებთან თავისი დამოუკიდებლობისათვის. მთელ რიგ ხელშეკრულებებში განმტკიცებულ იქნა მეგობრული ურთიერთობა სსრ კავშირსა და ლიტვას შორის. 1926 წელს დადებულ იქნა თავდაუსხმელობის ხელშეკრულება. 1934 წელს ის განგრძობილ იქნა.

პოლონეთის სიცოცხლის უნარმოკლებული სახელმწიფოს დაშლამ ამჟამად ახალი მდგომარეობა შეჰქმნა. სახელოვანმა წითელმა არმიამ გაათავისუფლა პოლონელ მტაცებელ-იმპერიალისტების უღელქვეშ მყოფი ხალხები, გაათავისუფლა უკრაინელები, ბელორუსები. წითელმა არმიამ თავისუფლება მიუტანა აგრეთვე ქალაქ ვილნოს, რომელიც თითქმის 20 წლის წინათ ხელში ჩაიგდეს პოლონელმა გენერლებმა.

სსრ კავშირი და ლიტვა უშუალო მეზობლები გახდნენ. მათ შორის სახელმწიფო საზღვარი მყარდება. ახალ მდგომარეობასთან ერთად იქმნება ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ახალი ამოცანები. გამოდიან რა ძველი მეგობრობიდან, განამტკიცებენ რა მას ახალი კავშირურთიერთობით, სსრ კავშირმა და ლიტვამ ახლად გადასჭრეს უმნიშვნელოვანესი საკითხები ურთიერთ დახმარების საფუძვლებზე, ორივე სახელმწიფოს ინტერესებთან, მათი თავდაცვის ინტერესებთან სრული შეფარდებით. ამაგრებს რა საერთო შეიარაღებული ძალებით ლიტვის საზღვრებს, საბჭოთა კავშირი ამით აძლიერებს საბჭოთა საზღვრების თავდაცვას.

ურთიერთ დახმარების პრინციპი ყველაზე სრულად გამოხატულია ხელშეკრულებაში საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის.

„საბჭოთა კავშირი და ლიტვის რესპუბლიკა ვალდებულებას კისრულობენ ერთად განახორციელონ ლიტვის სახელმწიფო საზღვრების დაცვა, რისთვისაც საბჭოთა კავშირს უფლება ეძლევა ლიტვის რესპუბლიკის პუნქტებში, რომლებიც დაწესებული იქნება ურთიერთ შეთანხმებით, იყოლიოს თავის ხარჯზე საბჭოთა სახმელეთო და საჰაერო შეიარაღებული ძალების მტკიცედ განსაზღვრული რაოდენობა“.

საბჭოთა კავშირი დახმარებას უწევს ლიტვას საჭურველითა და სხვა საომარი მასალებით.

ქალაქ ვილნოს და ვილნოს ოლქს საბჭოთა კავშირი გადასცემს ლიტვის რესპუბლიკას. წესდება საზღვარი სსრ კავშირსა და ლიტვას შორის. ორივე სახელმწიფო ეხმარება ერთიმეორეს ლიტვაზე ან ლიტვის ტერიტორიით საბჭოთა კავშირზე თავდასხმისა ან თავდასხმის საფრთხის შემთხვევაში.

სსრ კავშირი და ლიტვა არ სდებენ რაიმე კავშირს და არ მონაწილეობენ ხელშეკრულების დამდები ერთერთი მხარის წინააღმდეგ მიმართულ კოალიციებში.

ხელშეკრულება ოდნავაც არ ეხება ორივე სახელმწიფოს სუვერენულ უფლებებს, სახელმწიფო წყობილებას და ეკონომიურ და სოციალურ სისტემას. სსრ კავშირი და ლიტვა არ ერევიან ერთიმეორის შინაურ საქმეებში.

ასეთია მოკლედ შინაარსი ხელშეკრულებისა, რომელიც ახალ ფურცელს სწერს სსრ კავშირისა და ლიტვის მეგობრული ურთიერთობის ისტორიაში. ურთიერთდახმარების პრინციპი წითელი ძაფივით არის გავლებული მთელ მის ტექსტში. ჩვენ ვღებულობთ ახალ საშუალებას ჩვენი სახელმწიფოს დაცვისათვის. ლიტველი ხალხი ღებულობს თავისი ძირითადი ნაციონალური ინტერესების დაკმაყოფილებას. დაე ისწავლონ მსოფლიოს ხალხებმა ეს საბჭოთა პოლიტიკა მეზობელ სახელმწიფოებთან მეგობრობისა და თანხმობისა!

რატომ ახერხებს საბჭოთა მთავრობა მშვიდობიანი, მეგობრული გზით გადასჭრას საგარეო პოლიტიკის საკითხები, რომლებიც როგორც ძველ, ისე ახალ და უახლეს ისტორიაში უხვად მორწყულია ხალხთა სისხლით, რომლებიც სწყდებოდა ურიცხვ ომებში და მაინც არ არის გადაწყვეტილი, რომლებიც წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ საფრთხეს კაცობრიობისათვის, მისი განვითარებისათვის, მისი კულტურისათვის?

პასუხი ნათელია. სოციალიზმის ქვეყნის საგარეო პოლიტიკა არის მშვიდობიანობის პოლიტიკა, არის ყველა სახელმწიფოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების პოლიტიკა. ხალხთა მეგობრობა უდევს საფუძვლად სსრ კავშირის მთავრობის ლენინურ-სტალინურ პოლიტიკას.

მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს თავისი მთავრობის პირდაპირს, მტკიცე, ბრძნულ პოლიტიკას. საბჭოთა კავშირი ყველა სახელმწიფოს აძლევს საგარეო პოლიტიკის ურთულესი საკითხების მშვიდობიანად გადაჭრის მაგალითს, უჩვენებს ყველა ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა და განმტკიცების გზებს.

„პრავდის“ მოწინავე, 11/X.

სომხური ხელოვნების დეკადის მონაწილეთა ჩამოსვლა

11 ოქტომბერს მოსკოვში სპეციალური მატარებლით ჩამოდიან სომხური ხელოვნების დეკადის მონაწილენი—ერევნის სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მსახიობები. დედაქალაქის ხელოვნების ოსტატები ემზადებიან იმისათვის, რომ გულთბილი შეხვედრა მოუწყონ სტუმრებს კურსკის ვაგზალზე.

(საკდესი).

საქართველოს საბჭოთა მწერლების კლუბში

(მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა სასახლე)

15 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე გაიმართება დიდი რუსი პოეტის **მ. ი. ლერმონტოვის** დაბადებიდან 125 წლისთავის აღსანიშნავი **საზეიმო საღამო.**

შესავალი სიტყვა — **გიორგი ლეონიძე**

მ. ი. ლერმონტოვის ცხოვრება და შემოქმედება — მომხსენებელი **დ. ბენაშვილი**

ლერმონტოვი ქართულ ლიტერატურაში — მოხს. **ი. გრიშაშვილი**

ლერმონტოვის ლირიკა — მომხს. **ვ. წულუკიძე**

ლერმონტოვი კავკასიაში — მომხს. **ი. ენიკოლოფოვი**

ლერმონტოვის ნაწარმოებთა თარგმანებს წაიკითხავენ: **შ. დადიანი, დ. გაჩეჩილაძე, გ. გაჩეჩილაძე, მ. პატარიძე, გრ. ცეცხლაძე, ქ. ჭიჭინაძე.**

კონცერტი. **დ. გამრეკელი, ბ. ვალაცი** და **შარატა - დოლიძე** შეასრულებენ რომანსებს და დუეტებს ლერმონტოვის ტექსტზე.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

საიუბილეო კომისია

პროფესიულ კავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

საცხოვრებელი ბინების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების მომზადება ზამთრისათვის

მუშათა საცხოვრებელი ბინების, სასადილოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო სადგომების რემონტისათვის წელს გაღებულია დიდძალი სახსრები. პროფკავშირულ ორგანიზაციებს უნდა მოეწყოთ რემონტის მიმდინარეობის მასობრივი საზოგადოებრივი კონტროლი, რათა თავის დროზე მოემზადებინათ შენობები ზამთრისათვის.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ განიხილა საკითხი, თუ როგორ ემზადებიან ზამთრისათვის მოსკოვის ორ საწარმოში — ძერჟინსკის სახელობის „ტრიოხგორნაია მანუფაქტურაში“ და მიქოიანის სახელობის ხორცკომბინატში, აგრეთვე ცემენტის ქარხანა „გიგანტში“ (მოსკოვის ოლქი). ხორცკომბინატში დღემდეც არ შეუკეთებიათ ორი სასადილო, „ტრიოხგორნაია მანუფაქტურაში“ არ დამთავრებულა № 15 საბავშვო ბაღის მოწყობა. ქარხანა „გიგანტში“ საცხოვრებელი შენობების რემონტი შესრულებულია ნახევარზე ნაკლებად და ისიც არაკეთილხარისხოვნად.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ სცნო, რომ ამ საწარმოთა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები არადამაკმაყოფილებლად ამზადებენ ზამთრისათვის მუშათა საცხოვრებელ შენობებს და კულტურულ-საყოფაცხოვრებო სადგომებს, რის გამოც წინადადება მისცა მათ გამოაცოცხლონ მასობრივი კონტროლის ბრიგადებისა და საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისიების მუშაობა.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ დაავალა პროფკავშირთა ყველა ცენტრალურ და საოლქო კომიტეტს ოქტომბრის განმავლობაში ჩაატარონ საცხოვრებელი შენობების, ბაგებისა და საბავშვო ბაღების მშენებლობისა და რემონტის გეგმების შესრულების მასობრივი შემოწმება. ამ შემოწმების შედეგები განხილული იქნება მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებებზე.

(საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

ლატვიამ რატიფიკაცია უყო საბჭოთა კავშირ-ლატვიის პაქტს ურთიერთდახმარების შესახებ

რიგა, 10 ოქტომბერი (საკდესი). დღეს ლატვიის მინისტრთა კაბინეტმა რატიფიკაცია უყო ლატვიასა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთდახმარების პაქტს, რომელიც ხელმოწერილ იქნა მოსკოვში ა/წ. 5 ოქტომბერს.

სსრ კავშირსა და ლატვიას შორის ურთიერთდახმარების პაქტის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა-გამოცვლა

რიგა, 11 ოქტომბერი (საკდესი). სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულმა ლატვიაში ამხ. ჩიჩაევმა და ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა მუნტერსმა დღეს, 11 ოქტომბერს, დღის 11 საათზე რიგის დროის მიხედვით ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში მოახდინეს სსრ კავშირსა და ლატვიას შორის ურთიერთდახმარების პაქტის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა-გამოცვლა. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა-გამოცვლას დაესწრო—საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელშეკრულებათა დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი კამპე. სიგელების გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ამხ. ჩიჩაევმა და ბ-ნმა მუნტერსმა მოულოცეს ერთმანეთს და რწმენა გამოსთქვეს, რომ ურთიერთდახმარების პაქტი კიდევ უფრო განამტკიცებს მშვიდობიან კეთილმეზობლურ ურთიერთობას სსრ კავშირსა და ლატვიას შორის.

სიგელების გაცვლა-გამოცვლის მომენტიდან, ურთიერთდახმარების პაქტი სსრ კავშირსა და ლატვიას შორის პაქტის მეექვსე მუხლის შესაბამისად ითვლება ძალაში შესულად.

ლატვიის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

რიგა, 11 ოქტომბერი (საკდესი). ლატვიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „დღეს მოსკოვს გაემგზავრება ლატვიის ეკონომიური დელეგაცია ახალი სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად. დელეგაციას მეთაურობს ლატვიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე ბერზინში“.

საბჭოთა კავშირ-ესტონეთის შერეული სამხედრო კომისიის მუშაობა დამთავრდა

ტალინი, 11 ოქტომბერი (საკდესი). სსრ კავშირისა და ესტონეთის შერეული სამხედრო კომისიის მუშაობა საბჭოთა კავშირ-ესტონეთის ურთიერთდახმარების პაქტის რეალიზაციისათვის, რომელიც ურთიერთ ყურადღებისა და ნდობის მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, წარმატებით დამთავრდა.

სსრ კავშირის სამხედრო დელეგაციის ხელმძღვანელებმა მთავრობის დავალებით ესტონეთის არმიის მთავარსარდალი გენერალი ლაიდონერი მოსკოვში მოიწვიეს.

შეთანხმება ესტონეთში საბჭოთა ჯარის განაწილების შესახებ

ტალინი, 11 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ საღამოს, მოგვიანებით, სსრ კავშირისა და ესტონეთის სამხედრო დელეგაციებმა ხელი მოაწერეს ოქმს ესტონეთში საბჭოთა სახმელეთო და საჰაერო ჯარების განაწილების საკითხზე. მიღწეულია აგრეთვე შეთანხმება საზღვაო საკითხებშიაც. დღეს ხელს მოაწერენ სათანადო ოქმს.

ესტონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

ტალინი, 11 ოქტომბერი (საკდესი). ესტონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „ესტონეთის არმიის მთავარსარდალმა ლაიდონერმა მიიღო ოფიციალური მიპატიჟება ინახულოს მოსკოვი, დარბაზობის თარიღი დანიშნული იქნება შემდეგ“.

არაჩვეულებრივი აღფრთოვანება ლიტვაში

კაუნასი, 11 ოქტომბერი (საკდესი). ამბავი ლიტვისათვის ვილნოსა და ვილნოს ოლქის გადაცემის შესახებ აქ ელვისებური სისწრაფით გავრცელდა. როგორც კი რადიომ გადმოსცა ცნობა საბჭოთა კავშირსა და ლიტვის რესპუბლიკის შორის ხელშეკრულების დადების შესახებ კაუნასი სახელმწიფო დროშებით მოირთო. ქალაქში არაჩვეულებრივი სადღესასწაულო აღფრთოვანებაა. ხალხი, შეხვედრისას, ერთმანეთს ულოცავს.

ქალაქ კაუნასის რადიოსადგური განუწყვეტლივ გადასცემს ნაციონალურ მარშებსა და სიმღერებს.

დილის 11 საათზე ყველა დაწესებულებამ, საწარმომ და მაღაზიამ მუშაობა შესწყვიტა. მუშებსა და მოსამსახურეებს სამუშაოდან ანთავისუფლებენ დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში მოდიან მუშები, მეცნიერები, მოწაფეები და თხოულობენ, რომ მისცენ მათ ლენინის, სტალინის, მოლოტოვისა და ვოროშილოვის ფოტოსურათები. ლიტველი მოქალაქენი განუწყვეტლივ ტელეფონით უცხადებენ მადლობას და უდიდესი გულწრფელობის გრძნობას საბჭოთა ხალხსა და მის მთავრობას.

10 საათსა და 30 წუთზე საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შენობის წინ გაიარა პირველმა დემონსტრაციამ, რომელიც ტაშითა და „ვაშას“ შეძახილებით ესალმებოდა დიად საბჭოთა კავშირს.

ჩინეთის საელჩოს განცხადება ლონდონში

ლონდონი, 10 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ ჩინეთის საელჩომ ლონდონში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ხმები იმის შესახებ, თითქოს დიდძალი საბჭოთა ჯარი შესულიყოს სინძიანში, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

კომუნისტების დევნა საფრანგეთში

პარიზი, 11 ოქტომბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ მანშის დეპარტამენტში დააპატიმრეს საფრანგეთის პარლამენტის კომუნისტი დეპუტატი მოკე.

„დეილი უორკერი“ საფრანგეთის კომპარტიის მუშაობის შესახებ

ინგლისის გაზეთი „დეილი უორკერი“ სწერს: „საფრანგეთის კომპარტიის ხმის ჩახშობა არ შეიძლება. გაზეთი „ლუმანიტე“ დახურულია, კომუნისტი დეპუტატები დევნას განიცდიან პოლიციის მხრივ. ამავე დროს დაშლილია მუნიციპალური საბჭოები. მაგრამ საფრანგეთის კომუნისტური პარტია, —ნათქვამია სტატიაში,—ცოცხლობს და მუშაობს ქარხნებში, მუშათა და გლეხთა სახლებში. დეპუტატები კანონს გარეშე არიან გამოცხადებული იმისათვის, რომ ისინი მშვიდობიანობას იცავენ. ისინი საპყრობილეებში ჩაჰყარეს იმისათვის, რომ გაჰბედეს და წინადადება შეიტანეს მოეწვიათ საფრანგეთის პარლამენტი იმავე საკითხის განსახილველად, რომელსაც ინგლისის პარლამენტი 11 ოქტომბერს განიხილავს. საფრანგეთის მმართველები უკვე არაფერს არ ერიდებიან და იერიშებს მიაქვთ დემოკრატიულ უფლებებზე“.

ჯარში გაწვევა დანიაში

ბერლინი, 11 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო კოპენჰაგენიდან იუწყება, რომ გუშინ დანიაში დაიწყო სამხედრო ვალდებულთა გაწვევა, რომლებიც გაწვეული უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ მომავალი წლის გაზაფხულზე.

ჰული მიესალმა ჩინელ ხალხს

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა (საგარეო საქმეთა მინისტრმა) ჰულმა ჩინეთის რესპუბლიკის დაარსების 28 წლისთავთან დაკავშირებით ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ლინ სენს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ბედნიერება მაქვს გადავცე ჩინეთის ხალხს თქვენი აღმატებულების მეშვეობით ჩემი გულწრფელი სალამი და კეთილდღეობა ვუსურვო თქვენს ქვეყანას“.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აკადემიკოს ვ. ლ. კომაროვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

გამოჩენილი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადებიდან 70 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით დაჯილდოებულ იქნას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ვლადიმერ ლეონტის-ძე **კომაროვი ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1939 წლის 11 ოქტომბერი

დასავლეთ უკრაინის ოლქებში არჩეულ პირთა უკრაინის სახალხო კრების მომავალი მოწვევისათვის

ლვოვი, 10 ოქტომბერი (საკდესი). ამ დღეებში ქალაქ ლვოვის დროებითმა მმართველობამ მოწოდებით მიმართა დასავლეთ უკრაინის მოსახლეობას აირჩიოს დასავლეთ უკრაინის სახალხო (ნაციონალური) კრება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე დასავლეთ უკრაინის სახელმწიფოებრივი არსებობის საკითხის გადასაწყვეტად. დასავლეთ უკრაინის ქალაქების, დაბებისა და სოფლების მოსახლეობა დიდი გაცხოველებითა და აღფრთოვანებით იხილავს ლვოვის დროებითი მმართველობის ამ მიმართვას. დასავლეთ უკრაინის მშრომელთა ორგანიზაციებმა, ქალაქ სტანისლავოვის, ტარნოპოლისა და ლუცკის დროებითმა მმართველობებმა მხარი დაუჭირეს ლვოვის დროებითი მმართველობის ინიციატივას და საჭიროდ სცნეს შეჰქმნან კომიტეტი სახალხო კრების არჩევნების ჩასატარებლად. უკრაინის სახალხო კრების არჩევნების ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის შექმნილ კომიტეტში შევიდნენ შემდეგი ამხანაგები: **მ. გ. მაცკო** (ლვოვის სავოევოდოს წარმომადგენელი), ქ. ლვოვის დროებითი მმართველობის წარმომადგენლები **ფ. ი. ერემენკო, ს. მ. გორბატენკო, ა. ე. კარმაზინი, ი. ფ. ზავადკო,** ქ. ლვოვის მუშათა წარმომადგენლები **ვ. დ. მალიუხა** და **მ. პ. დიდეკი,** ქ. ლვოვის ინტელიგენციის წარმომადგენლები ექიმი **მ. ი. პანჩიშინი** და კომპოზიტორი **ვ. ო. ბარვინსკი,** სტანისლავოვის სავოევოდოს წარმომადგენელი **მ. ვ. გრულენკო,** ტარნოპოლის სავოევოდოს წარმომადგენელი **ლ. ს. გრიშჩუკი,** ლუცკის სავოევოდოს წარმომადგენელი **ვ. ა. ბეგმა,** გლეხთა კომიტეტების წარმომადგენლები **ი. ა. სოროკა** და **ვ. მ. ბილანი,** აგრეთვე **პ. ი. ლუკინი.**

მშრომელთა მრავალრიცხოვან კრებებსა და მიტინგებზე გამოთქმული სურვილების შესაბამისად კომიტეტმა თხოვნით მიმართა უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს გაჰგზავნოს თავისი წარმომადგენლები კომიტეტის შემადგენლობაში. უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კომიტეტის შემადგენლობაში გაჰგზავნა ამხ. **მ. ს. გრეჩუხა** და **ა. ე. კორნეიჩუკი.**

კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია **მ. გ. მაცკო,** თავმჯდომარის მოადგილედ **ვ. დ. მალიუხა,** კომიტეტის მდივნად — **პ. ი. ლუკინი.**

7 ოქტომბერს კომიტეტმა გამოაქვეყნა სახალხო კრების დეპუტატთა საარჩევნო დებულება. დასავლეთ უკრაინის ხალხები პირველად აირჩევენ თავიანთ წარმომადგენლებს სრული თავისუფლებისა და გაშლილი დემოკრატიზმის პირობებში საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

„დასავლეთ უკრაინის უკრაინის სახალხო კრების საარჩევნო დებულების“ მე-2 მუხლში ნათქვამია:

„დასავლეთ უკრაინის ყველა მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, მიუხედავად რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დეპუტატთა არჩევნებში და არჩეულ იქნას უკრაინის სახალხო კრების წევრად“.

კომიტეტმა არჩევნები დანიშნა 1939 წლის 22 ოქტომბრისათვის.

დამტკიცებულია საარჩევნო ნორმა — თითო დეპუტატი თვითეულ 5.000 მცხოვრებზე. სახალხო კრების დეპუტატთა კანდიდატების დასახელების უფლება უზრუნველყოფილი აქვთ გლეხთა კომიტეტებს, დროებით მმართველობებს, მუშათა კრებებს საწარმოებში და ინტელიგენციის კრებებს.

უკვე შეიქმნა საარჩევნო ოლქები და საოლქო საარჩევნო კომისიები.

მშრომელთა მრავალრიცხოვან მიტინგებსა და კრებებს გამოაქვთ გადაწყვეტილებანი, რომლებშიაც შეაქვთ სახალხო კრების შემდეგი უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანები: საბჭოთა ხელისუფლების დამყარება დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე, დასავლეთ უკრაინის შეერთება უკრაინის სს რესპუბლიკასთან, მემამულეთა მიწების კონფისკაციისა და ამ მიწების გლეხთა შორის დანაწილების მოწონება, ბანკებისა და მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციის მოთხოვნა.

ათასობით უმუშევარი მასწავლებელი სამუშაოს იღებს

დასავლეთი ბელორუსია, 10 ოქტომბერი (საკდესი). პოლონეთის ყოფილი მმართველები ყველაზე ნაკლებად ზრუნავდნენ სახალხო განათლებაზე.

დასავლეთ ბელორუსიაში, როგორც წესი, სკოლები მოთავსებული იყო უბადრუკ სადგომებში, ხშირად კი გლეხთა ქოხებშიც. მასწავლებლები ნახევრადმშიერნი იყვნენ. მათ მეტად მცირე ხელფასი ეძლეოდათ. თავისი მდგომარეობისა და სწავლების პირობების გამო უკმაყოფილების გამოთქმის ოდნავი ცდისთვისაც კი მათ სამსახურიდან ითხოვდნენ სკოლებში მუშაობის უფლების ჩამორთმევით.

პოლონეთის 16.000 უმუშევარი მასწავლებელი შიმშილს განიცდიდა. 1,5 მილიონი ბავშვი ყოველწლობით სკოლის გარეთ რჩებოდა.

ქალაქ ოშმიანში 8 ათას მცხოვრებზე მხოლოდ 4 პატარა სკოლა იყო. ნოვოგრუდსკის მთელს მაზრაში მხოლოდ ერთი საშუალო სასწავლებელი იყო. სოფლებში ერთს დაწყებითს სკოლას მომსახურება უნდა გაეწია ბავშვებისთვის, რომლებიც 10-12 კილომეტრ რადიუს მანძილზე ცხოვრობდნენ. ბევრ მაზრაში სკოლა თითქმის სრულიად არ იყო.

სწავლის მაღალი ხელფასი და წიგნების, რვეულებისა და ტანისამოსის შესაძენად საჭირო სახსრების უქონლობა ხშირად აიძულებდა მშობლებს გამოეყვანათ მოსწავლეები სკოლებიდან შუა სასწავლო წელში.

ვოლკოვისკის მაზრაში შუა სასწავლო წელში სკოლების მეცადინეობას ჩვეულებრივ ესწრებოდა მოსწავლეთა დაახლოებით 47 პროცენტი, ხოლო წლის დამლევისათვის — კიდევ უფრო ნაკლები. სწავლა მხოლოდამხოლოდ პოლონურ ენაზე სწარმოებდა. ბელორუს ბავშვებს აკრძალული ჰქონდათ თავიანთ დედაენაზე ლაპარაკი.

ნოვოგრუდსკის მაზრის ერთერთ სკოლაში პოლონელმა მასწავლებელმა მოწაფე ი. გრინკოს სცემა და სასწავლებლიდან გააგდო მხოლოდ იმისათვის, რომ მან ხმამაღლა იმღერა ბელორუსული სიმღერა.

დასავლეთ ბელორუსიის მასწავლებლებმა იციან, რომ ახლა მათთვის ახალი დღეები დადგა. სკოლის უმუშევარ მუშაკთაგან ბევრმა უკვე მიიღო სამუშაო. საოლქო და სამაზრო ქალაქებში 7 ათასი მასწავლებლისათვის ეწყობა გადასამზადებელი კურსები. ამ კურსებზე უმუშევარი მასწავლებლები მოისმენენ ლექციებს საბჭოთა პედაგოგიკის საფუძვლებისა და სწავლების მეთოდების შესახებ, ისინი დაწვრილებით გაეცნობიან ბელორუსულ და რუსულ ლიტერატურას, მოისმენენ ლექციებს ისტორიულ თემებზე. კურსების დამთავრების შემდეგ ყველა უმუშევარ მასწავლებელს საშუალება მიეცემა ხელი მოჰკიდოს თავის საყვარელ საქმეს.

დასავლეთ უკრაინაში უმუშევრობის ლიკვიდაცია ხდება

კორეცი (დასავლეთი უკრაინა), 10 ოქტომბერი (საკდესი). ქალაქ კორეცის ქუჩებში და ყველა ახლომდებარე სოფლებში გამოჩნდა უჩვეულო განცხადება:

— საჭიროა სხვადასხვა სპეციალობის მუშები, ტექნიკოსები, შავი მუშები.

ადგილობრივი მცხოვრებნი პირველად კითხულობენ ასეთ განცხადებას. მრავალი წლის უმუშევრობის შემდეგ სამუშაო გამოჩნდა არა ერთისათვის, არამედ ასობით და ათასობით ადამიანებისათვის.

— შოფერები გჭირდებათ? — კითხულობენ დროებითს მმართველობაში მოსული უმუშევრები.

— გვჭირდება, შოფერები, გვჭირდება, — უპასუხებს მათ კორეცის დროებითი მმართველობის თავმჯდომარე ამხ. სევერინენკო. — საჭირონი არიან შოფერებიც, ზეინკლებიც, შავი მუშებიც. სამუშაო ყველასთვის საყოფია.

— საჭიროა აგრეთვე მასწავლებლები, — ამბობს მმართველობის წევრი მასწავლებელი ამხ. დავიდოვიჩი, — ხომ უნდა გავხსნათ ბევრი უკრაინული სკოლა.

ბედნიერი, სიხარულით აღსავსე ადამიანები იჩქარიან დაიწყონ მუშაობა.

ამჟამად ქ. კორეცში — შაქრის ქარხანაში და გზების მშენებლობაზე სამუშაოდ 1.000-ზე მეტ კაცს აგროვებენ.

ВНИМАНИЕ!
ДЕМОНСТРИРУЕТСЯ
СОВЕТСКИЙ
ЗВУКОВОЙ ХУДОЖ.
КИНОФИЛЬМ
„ВЫБОРГСКАЯ
СТОРОНА"
ORLY
MORSKIE

დასავლეთ უკრაინაში. ქალაქ როვნოს მცხოვრებნი კითხულობენ საბჭოთა კინოფილმის „ვიბორგის მხარეს“ აფიშას.

ფოტო მ. კალაშნიკოვისა (საკდესის ფოტოკლიშე)

მოლდავეთის ასს რესპუბლიკის 15 წლისთავი

ტირასპოლი, 10 ოქტომბერი (საკდესი). 12 ოქტომბერს სრულდება მოლდავეთის რესპუბლიკის შექმნის 15 წლისთავი.

რევოლუციამდე მოლდავეთი მეფის რუსეთის უუფლებო კოლონია იყო. მისი ხალხი ორმაგ ჩაგვრას განიცდიდა — მეფის მოხელეთა და მოლდავეთის მემამულეთა მხრივ. მთელი სახნავი მიწის ნახევარი მემამულეების, კულაკებისა და ხუცების ხელში იყო, ხოლო ათასობით გლეხებს უბადრუკი ნადილები ჰქონდათ ან მოჯამაგირეობას იწევდნენ. შეუბრალებლად ითრგუნებოდა ნაციონალური კულტურა. მოლდავეთში წერა-კითხვა მოსახლეობის მხოლოდ 9 პროცენტმა იცოდა.

უკანასკნელი 15 წელი მოლდავეთის ასს რესპუბლიკის განუწყვეტელი სამეურნეო და კულტურული აღმავლობის წლებს წარმოადგენდა. საუცხოო ბაღები და ვენახები კვების მრეწველობის სწრაფი განვითარების ბაზად გადაიქცნენ. რესპუბლიკაში, რომელსაც წინათ არც ერთი სამრეწველო საწარმო არ ჰქონია, აგებულია სამი დიდი საკონსერვო ქარხანა, მეღვინეობის 8 ქარხანა, 52 ელექტროსადგური და მრავალი სხვა საწარმო.

საკოლმეურნეო წყობილებამ მოლდავეთის გლეხობას კულტურული, შეძლებული ცხოვრება მოუტანა. რესპუბლიკის გლეხურ მეურნეობათა 99 პროცენტი გაერთიანებულია კოლმეურნეობებში. კოლმეურნეობებზე სამუდამოდ მიმაგრებულ ნაყოფიერ მიწას ათასობით რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ტრაქტორები ამუშავებენ. უხვი მოსავლის ასაღებად 465 კომბაინი და რთული სალეწი მანქანები მუშაობენ. ბევრ კოლმეურნეობას 4-5 ავტომანქანა აქვს.

საუკუნეებით ჩაგრულ მოლდავეთში ახლა გაიფურჩქნა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. რესპუბლიკაში არის რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი, 504 სკოლა, თეატრების, კლუბების, ბიბლიოთეკებისა და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა განშტოებული ქსელი. ხალხმა შექმნა თავისი ხელოვნება და ლიტერატურა.

მოლდავეთის ხალხის სიმღერა წინათ სევდითა და მწუხარებით იყო გაჟღენთილი. სულ სხვა სასიხარულო სიმღერა გაისმის ახლა საკოლმეურნეო სოფლებში, საბჭოთა მოლდავეთის ქალაქებში. ამ სიმღერებში ხალხი უმღერის ბედნიერ ცხოვრებას სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ ქება-დიდებით იხსენიებს იმას, ვინც მას მისცა ახალი ცხოვრება — დიდ **სტალინს**.

დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლება

გამოფენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

10 ოქტომბერს მოსკოვში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის შენობაში, გაიხსნა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლებისადმი მიძღვნილი გამოფენა. დოკუმენტები, წიგნები, ისტორიული რუკები, ფოტომასალა და დიაგრამები ნათელ წარმოდგენას იძლევიან დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის წარსულისა და აწმყოს შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს უკრაინელებისა და ბელორუსების ისტორიული ბედ-იღბლისადმი მიძღვნილი განყოფილება. მთელი რიგი საარქივო მასალა IX—XI საუკუნეებს ეკუთვნის.

გამოფენაზე უჩვენებენ პოლონეთის ყოფილი სახელმწიფოს ოფიციალურ მასალებს: შეკითხვები სეიმში ბელორუსი მოსახლეობის მიმართ ძალდობის შესახებ და სხვა ექსპონატები, სადაც ასახულია პანების პოლონეთის სადამსჯელო პოლიტიკა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთა მიმართ.

უხვად არის წარმოდგენილი განყოფილება „ჩაგვრის დასასრული“. აქ ასახულია წითელი არმიის გმირული გზა, გამოფენილია უკრაინისა და ბელორუსიის ფრონტების სარდლობის ფურცლები რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ და პოლონურ ენაზე, ადგილობრივი დროებითი მმართველობების მიმართვა მოსახლეობისადმი და წითელარმიელთა საბრძოლო გაზეთები.

სპეციალური განყოფილება აქვს დათმობილი მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის აზრებს ნაციონალური საკითხის შესახებ. (საკდესი).

დაიწყო კორესპონდენციების გზავნა დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში მყოფ წითელი არმიის ნაწილებში

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისრის განკარგულებით დაიწყო უბრალო და დაზღვეული წერილებისა და ბანდეროლების, დეპეშებისა და ფულადი საფოსტო გზავნილების მიღება წითელი არმიის იმ პირადი შემადგენლობის სახელზე, რომელიც დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში იმყოფება.

ამ კორესპონდენციის გამგზავნმა მისამართში უნდა აღნიშნოს საველე საფოსტო სადგურის ნომერი, სამხედრო ნაწილისა და ქვედანაყოფის ნომერი ან სახელწოდება. (საკდესი).

საჩუქრები დასავლეთ ბელორუსიისა და დასავლეთ უკრაინის ბავშვებისათვის

კალინინი, 8 ოქტომბერი (საკდესი). ოლქის ბავშვები ამზადებენ საჩუქრებს დასავლეთ ბელორუსიისა და დასავლეთ უკრაინის ბავშვებისათვის.

ქ. კალინინის მე-7 საშუალო სკოლის მოსწავლენი ჰგზავნიან საინტერესო ალბომს საბჭოთა ბავშვების სასიხარულო ცხოვრების შესახებ. ვიშნი ვოლოჩეკის პიონერებმა უკვე დიდი რაოდენობით გაჰგზავნეს მხატვრული ლიტერატურა და სათამაშოები, რომლებიც მათ თვითონ გააკეთეს პიონერთა სახლში.

კიმრის საბავშვო ბაღ „ბუდიონოვეცის“ ბავშვებმა მრავალი სათამაშო გააკეთეს.

კალინინის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებს განზრახული აქვთ გაჰგზავნონ წიგნები, დამხმარე სახელმძღვანელოები და სურათები.

1938 წლის სესხის მე-8 ტირაჟი

გორკი, 10 ოქტომბერი (საკდესი). დღეს ლენინის სახელობის კულტურის სასახლეში შესდგა 1938 წლის სახელმწიფო საშინაო მოგებიანი სესხის მერვე ტირაჟი.

ტირაჟში გათამაშებულ იქნა 11.360 მოგება 7.668.800 მანეთის რაოდენობით. მოგებათა შორის არის 8 მოგება — თვითეული 25 ათასმანეთიანი, 40 — თვითეული 10-ათასმანეთიანი, 240 — თვითეული 5-ათასმანეთიანი, 2.400 — თვითეული 1000-მანეთიანი და 8.672 მოგება — თვითეული 400-მანეთიანი.

კონკურსი კინოკომედიის სცენარებზე

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტმა გადასწყვიტა გამოაცხადოს კონკურსი კინოკომედიის სცენარებზე. მისი მიზანია — შექმნას მაღალმხატვრული სრულმეტრაჟიანი საკომედიო კინოფილმები თანამედროვე საბჭოთა სინამდვილის თემაზე და ჩააბას კინემატოგრაფიაში სცენარისტთა ახალი კადრები.

კონკურსში მწერლებთან და კინოსცენარისტებთან ერთად მონაწილეობის მიღება შეუძლია სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს. კონკურსზე წარდგენილი სცენარები უნდა შეესაბამებოდნენ იმ მაღალ მოთხოვნებს, რომლებსაც საბჭოთა საზოგადოებრიობა მხატვრულ კინოსურათებს უყენებს: ისინი საკომედიო ფორმას უნდა უხამებდნენ მაღალ იდეურ-პოლიტიკურ შინაარსს.

საკონკურსო სცენარები შეიძლება დაწერილ იქნას ყოველგვარი საკომედიო ჟანრით — საყოფაცხოვრებო კომედია, კომედია — სატირა, კომედია — გროტესკი, მუსიკალური კომედია, ექსცენტრიული კომედია და სხვ. მათი თემები აუცილებლად უნდა იქნას აღებული თანამედროვე საბჭოთა სინამდვილიდან — სოციალისტური მშენებლობა ქალაქსა და სოფელში, ოჯახისა და ყოფაცხოვრების საკითხები, საბჭოთა სპორტი, ანტირელიგიური პროპაგანდა და სხვ.

სცენარებს ორიგინალური სიუჟეტი უნდა ჰქონდეს. ლიტერატურული ნაწარმოებებისა და პიესების ინსცენირებანი განხილული არ იქნება ისე, როგორც ის სცენარები, რომლებიც წარმოდგენილია კონკურსზე 1938 წელს, და სცენარები, რომლებიც ხელშეკრულების მიხედვით დაწერილია ერთერთი კინოსტუდიისათვის, თუნდაც მათი საფასური ნაწილობრივ გადახდილიც იყოს სტუდიის მიერ.

ჩვეული ოდენობის სცენარები — მანქანაზე დაბეჭდილი 70-80 გვერდი — შეიძლება წარმოდგენილ იქნას სსრ კავშირის ხალხთა ყოველ ენაზე, დევიზით.

კონკურსზე ხელნაწერთა წარმოდგენის ვადად დაწესებულია 1940 წლის 1 აპრილი.

კონკურსის შედეგები შეჯამებული იქნება 1940 წლის 1 ივლისისათვის. საკონკურსო სცენარების განსახილველად შეიქმნება ჟიური. საუკეთესო სცენარებისათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები: პირველი პრემია — 25.000 მანეთი, მეორე პრემია — 20.000 მანეთი, 2 მესამე პრემია — თითო 15.000 მანეთი და 3 მეოთხე პრემია — თითო 10.000 მანეთი. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ომიანობის დროს რიგითი და უმცროსი მეთაურთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დახმარების დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ

რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები (ზევადიანი სამსახურის უმცროს მეთაურთა შემადგენლობის ოჯახებს გარდა), რომლებიც ომიანობის დროს იმყოფებიან მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში, სამხედრო-საზღვაო ფლოტში, შინსახკომის სანაპირო და საშინაო ჯარებში, სახელმწიფოსაგან იღებენ დახმარებას შემდეგი წესით:

1. დახმარება გაიცემა ყოველთვიურად შემდეგი ოდენობით:

ა) თუ ოჯახში არ არიან შრომისუნარიანი წევრები და არის შრომისუნარომოკლებული ერთი წევრი — 80 მანეთი, ორი წევრი — 120 მანეთი, სამი და მეტი — 160 მანეთი თვიურად ქალაქში და ამ თანხის 50 პროცენტი სასოფლო ადგილებში;

ბ) თუ ოჯახში არის სამი და მეტი შრომისუნარომოკლებული წევრი და ერთი შრომისუნარიანი წევრი — 120 მანეთი თვიურად ქალაქში და ამ თანხის 50 პროცენტი სასოფლო ადგილებში;

გ) თუ ოჯახში არის ორი ბავშვი, რომლებსაც 16 წლის ასაკისათვის არ მიუღწევიათ, და ერთი შრომისუნარიანი წევრი — 80 მანეთი თვიურად ქალაქში და ამ თანხის 50 პროცენტი სასოფლო ადგილებში.

2. დახმარებას დანიშნავს სამხედრო მოსამსახურის ოჯახის ადგილსამყოფელის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების საბჭოს რაიონულ (საქალაქო) აღმასკომთან არსებული კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე — რაიონული (საქალაქო) აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

კომისიის წევრები:

1) რაიონული (საქალაქო) სამხედრო კომისარი,

2) სოციალური უზრუნველყოფის რაიონული (საქალაქო) განყოფილების გამგე.

3. დახმარების დანიშვნის საკითხები გადაიჭრება სამი დღის ვადაში იმ მომენტიდან, რაც მიღებული იქნება განცხადებანი სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისაგან, რომლებიც ქალაქებში ცხოვრობენ, და სამხედრო მოსამსახურეთა იმ ოჯახების სიები სასოფლო საბჭოებისაგან, რომლებიც სასოფლო ადგილებში ცხოვრობენ.

4. სამხედრო მოსამსახურის ოჯახისათვის დახმარების დანიშვნის საკითხის გადაჭრის დროს შრომისუნარომოკლებულებად ითვლებიან მის კმაყოფაზე მყოფნი:

ა) შვილები 16 წლის ნაკლები ასაკისა, ხოლო მოსწავლენი — 18 წლის ნაკლები ასაკისა, თუ ისინი არ იღებენ სახელმწიფო სტიპენდიას;

ბ) ძმები და დები 16 წლის ნაკლები ასაკისა, ხოლო მოსწავლენი 18 წლის ნაკლები ასაკისა, თუ მათ არა ჰყავთ შრომისუნარიანი მშობლები ან არ იღებენ სახელმწიფო სტიპენდიას;

გ) მამა 60 წლის ასაკს გადაცილებული და დედა 55 წლის ასაკს გადაცილებული;

დ) ცოლი და მშობლები — I და II ჯგუფის ინვალიდები, მიუხედავად მათი ასაკისა.

შენიშვნა: სამხედრო მოსამსახურის კმაყოფაზე მყოფად ითვლებიან ის პირნი, რომელთათვისაც არსებობის მუდმივ ან ძირითად წყაროს წარმოადგენდა დახმარება სამხედრო მოსამსახურის მხრივ.

5. მოხუცი მშობლები (მამა 60 წლის ასაკს გადაცილებული და დედა 55 წლის ასაკს გადაცილებული), მშობლები — I და II ჯგუფების ინვალიდები, რომლებიც სამხედრო მოსამსახურის ოჯახისაგან განცალკევებით (ცხოვრობენ სხვა ადგილას (ქალაქში, რაიონში) დახმარებას იღებენ ცალკე სრული ოდენობით.

6. მობილიზებულ მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახებს დახმარება დაენიშნებათ იმ დღიდან, რომელ დღემდეც მათ გაუსწორეს სრული ანგარიში მუშაობის ადგილზე, კოლმეურნეთა და დანარჩენ მობილიზებულთა ოჯახებს — დღიდან გაწვევისა, ხოლო იმ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს, რომლებიც მობილიზაციის მომენტისათვის ნამდვილ სამხედრო სამსახურში იმყოფებიან, — მობილიზაციის გამოცხადების მომენტიდან.

7. დახმარების დამნიშვნელი კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას საოლქო (სამხარეო) აღმასრულებელ კომიტეტში და იმ რესპუბლიკის სახკომსაბჭოში, რომელსაც საოლქო დაყოფა არა აქვს. მათ გადაწყვეტილება გამოაქვთ სამი დღის ვადაში და ეს გადაწყვეტილება საბოლოოა.

8. იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან ინვალიდობის გამო, მისი ოჯახისათვის დანიშნული დახმარება მიეცემა მას ინვალიდობის გამო პენსიის დანიშვნამდე.

მოკლულ, გარდაცვლილ ან უგზოუკვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები განაგრძობენ მათთვის დანიშნული დახმარების მიღებას პენსიის დანიშვნამდე.

9. თუ დახმარების მიღების უფლების არმქონე სამხედრო მოსამსახურის ოჯახის შემადგენლობაში შემდეგში მოხდება ცვლილება (ოჯახის სხვა წევრთა მობილიზაცია, ოჯახის შრომისუნარომოკლებულ ახალ წევრთა გაჩენა და სხვ.), რომლის შედეგადაც ოჯახს ენიჭება დახმარების მიღების უფლება, ამ ოჯახს დახმარება დაენიშნება ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული წესით მომხდარი ცვლილების მომენტიდან.

თუ დახმარების მიმღები სამხედრო მოსამსახურის ოჯახის შემადგენლობაში მოხდება ცვლილება, რომელიც ართმევს მას დახმარების მიღების უფლებას (ოჯახის არასრულწლოვან წევრთა მიერ სრულწლოვანობისათვის მიღწევა, ოჯახის ახალ შრომისუნარიან წევრთა გამოჩენა და სხვ.), ეს ოჯახი ჰკარგავს დახმარების მიღების უფლებას ოჯახის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილების მომენტიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1939 წლის 10 ოქტომბერი.

ლიტვა

(ცნობა)

შარშან ლიტვის რესპუბლიკამ თავისი დამოუკიდებელი არსებობის 20 წლისთავი იდღესასწაულა. მთელი ამ წლების მანძილზე სსრ კავშირსა და ლიტვას შორის მუდმივ მეგობრული ურთიერთობა სუფევდა. საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის 1920 წლის 12 ივლისს დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას საფუძვლად დაედო ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის პრინციპი, რომელიც დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გამოაცხადა. ლიტვის რესპუბლიკის არსებობის დასაწყისიდანვე სსრ კავშირი იცავდა ნორჩი სახელმწიფოს სუვერენულ უფლებებს, დამოუკიდებლობასა და უშიშროებას.

მეზობელ პოლონეთს არაერთხელ გამოუჩენია იმპერიალისტური მისწრაფებანი ლიტვის მიმართ. მოხსენებული 1920 წლის ხელშეკრულებით ლიტვის შემადგენლობაში შევიდა ყოფილი ვილნოს გუბერნიის მნიშვნელოვანი ნაწილი და ქალაქი ვილნო, რომელიც ლიტვის კონსტიტუციით სახელმწიფოს დედაქალაქად არის აღიარებული.

პოლონეთმა ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ვილენშჩინა ლიტვას უნდა დარჩენოდა. მაგრამ მეორე დღესვე გენერალ ჟელიგოვსკის ბანდები შეიჭრნენ ვილნოს ოლქის ტერიტორიაზე და ხელთ იგდეს ლიტვის სახელმწიფოს მიწები. ლიტვას არაერთხელ განუცხადებია პროტესტი პოლონელი ოკუპანტების დამპყრობლური მოქმედების წინააღმდეგ. ამ პროტესტებს არაერთხელ შეერთებია საბჭოთა მთავრობა, რომელიც არასოდეს არა სცნობდა პოლონეთის მიერ ვილნოს ოლქის ძალდატანებით დაპყრობას.

1926 წლის 28 სექტემბერს ლიტვის მთავრობამ საბჭოთა კავშირთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას თავდაუსხმელობისა და კონფლიქტების მშვიდობიანად გადაჭრის შესახებ. ეს ხელშეკრულება 1934 წელს განგრძობილ იქნა 10 წლით. საბჭოთა კავშირ-ლიტვის ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ კვლავ დაადასტურა, რომ იგი არა სცნობს პოლონელ მოძალადეთა მიერ ვილნოს დაპყრობას. 1927 წლის დამლევს, როდესაც შეიქმნა იმის საფრთხე, რომ პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი შეიარაღებულ შეტაკებად გადაიქცეოდა, საბჭოთა კავშირმა ლიტვა კატასტროფას გადაარჩინა. და როდესაც შარშან პოლონეთის სამხედრო ხროვა კვლავ ცდილობდა პროვოკაციულად გამოეწვია შეიარაღებული კონფლიქტი ლიტვასთან, საბჭოთა კავშირმა წინადადება მისცა პოლონეთს არ მიემართა სამხედრო ძალისათვის; ამასთან, დაიტოვა მოქმედების თავისუფლება იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთი მოახდენდა შეიარაღებულ თავდასხმას ლიტვაზე. საბჭოთა მთავრობის ამ კატეგორიულმა განცხადებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა.

პოლონეთის სახელმწიფო, ხელოვნურად შექმნილი სხვისი ტერიტორიების დაპყრობის გზით, დამყარებული მასში მოსახლე ხალხთა ჩაგვრასა და უუფლებობაზე, დაიშალა.

სსრ კავშირმა ჩაგვრისა და უუფლებობისაგან გაანთავისუფლა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხები. სსრ კავშირი უზრუნველჰყოფს იმ ხალხთა მშვიდობიან არსებობას, რომელნიც პოლონეთის შლიახტის უღელქვეშ გმინავდნენ.

ხელშეკრულება ლიტვის რესპუბლიკისათვის ქალაქ ვილნოს და ვილნოს ოლქის გადაცემისა და საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის ურთიერთდახმარების შესახებ, საბჭოთა კავშირ-ესტონეთისა და საბჭოთა კავშირ-ლატვიის პაქტებთან ერთად, წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ახალ დამამტკიცებელ საბუთს, სსრ კავშირისა და მისდამი მეგობრულად განწყობილ მეზობელ სახელმწიფოთა უშიშროების საიმედო გარანტიას.

* * *

თანამედროვე ლიტვა შეიქმნა 1918 წელს რუსეთის ყოფილი გუბერნიების — კოვნოს, სუვალკის ნაწილისა და კურლიანდიისა და ვილნოს ცალკეული რაიონების ტერიტორიაზე. ლიტვის ფართობი 52,8 ათასი კვადრატული კილომეტრია; მოსახლეობა 1939 წლის 1 იანვრის ოფიციალური ცნობებით, 2.421.570 კაცს შეადგენს. მოსახლეობის ნაციონალური შემადგენლობა ასეთია: ლიტველები (დაახლოებით 85 პროცენტი), ებრაელები (7,1 პროცენტი) რუსები (2,4 პროცენტი) და სხვა ეროვნებანი (4,9 პროცენტი).

აღმოსავლეთით ლიტვა ესაზღვრება სსრ კავშირს, სამხრეთით-დასავლეთ ბელორუსიას, ჩრდილოეთით — ლატვიას და დასავლეთით — გერმანიას. ლიტვის საზღვაო საზღვარი, გერმანიის ხელში კლაიპედის ოლქის გადასვლის შემდეგ, სულ დაახლოებით 20 კილომეტრს უდრის. კლაიპედიდან 18 კილომეტრის დაშორებით არის ლიტვის ერთადერთი საზღვაო ნავსაყუდელი პოლანგენი, სადაც დაახლოებით 2.100 მცხოვრებია. პოლანგენი რკინიგზით არის დაკავშირებული ქალაქ კრეტინგასთან. პოლანგენის ჩრდილოეთით, მდინარე სვენტოს შესართავთან, 1925 წელს დაიწყო ნავსადგურის მშენებლობა. ტექნიკური პროექტის მიხედვით აქ აგებულ უნდა იქნას 9 მეტრი სიმაღლისა და 1.200 მეტრი სიგრძის ტალღმჭრელები. ავანპორტს ექნება 63 ჰექტარი წყლის ზედაპირი და სათევზაო და სავაჭრო ნავსაყუდელთა ცალკეული შესასვლელები. სათევზაო ნავსაყუდელთან ერთად აგებული იქნება აგრეთვე სავაჭრო ნავსადგური და ქალაქი.

ლიტვას უჭირავს ვაკე ადგილი, რომელიც დასერილია გორაკებით.

მთავარი მდინარეებია ნემანი და მისი შენაკადები — ვილია და ნევეჟისი. ლიტვაში ბლომადაა ტბები, განსაკუთრებით სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ლიტვის ძირითადს წყლის არტერიას — ნემანს — სათავე აქვს სსრ კავშირის ტერიტორიაზე მინსკის მახლობლად, შემდეგ მიმდინარეობს დასავლეთ ბელორუსიაზე, გადასერავს ლიტვას და ერთვის ბალტიის ზღვას. ნემანი ოგინის არხით დაკავშირებულია მდინარე პრიპიატსა და დნეპრთან. ნაოსნობა ნემანზე 200-245 დღე გრძელდება. ნემანი სატვირთო და სამგზავრო გემების სატრანზიტო გზას წარმოადგენს. იგი ლიტვაში მიმავალი წყლის გზა და ბალტიის ზღვაში გასასვლელია და ამით უდიდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობაში.

ლიტვა აგრარული ქვეყანაა. თანამედროვე ლიტვის ტერიტორია პირველ იმპერიალისტურ ომამდე რუსეთის იმ რაიონთა რიცხვს ეკუთვნოდა, სადაც მნიშვნელოვნად იყო განვითარებული სოფლის მეურნეობა. სახნავ-სათესი მიწები 1937 წელს 2.734 ათას ჰექტარს ანუ ლიტვის მთელი ფართობის 49,1 პროცენტს შეადგენდა. მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: ჭვავი, შვრია, ქერი, ხორბალი, კარტოფილი და სელი. შარშან საბოჭკოე სელის მოსავალი 25 ათას ტონას აღემატებოდა.

ლიტვის სოფლის მეურნეობას წინათ მარცვლეულის მიმართულება ჰქონდა, ხოლო ამ უკანასკნელ წლებში მეცხოველეობის განხრას იღებს. განსაკუთრებით განვითარდა მეფრინველეობა და მერძევეობა. ეს გამოწვეული იყო გარე ბაზრებზე გასაღების პირობებით. გარდა ამისა, მეცხოველეობის განვითარებისათვის ლიტვას ხელსაყრელი პირობები ჰქონდა. 1937 წელს მდელოებსა და საძოვრებს ეკავა მთელი ტერიტორიის ერთი მეხუთედი ნაწილი — 1.140 ათასი ჰექტარი. ლიტვაში დიდძალი მსხვილფეხა რქიანი საქონელი და ღორი არის.

ტყეს 1.051 ათასი ჰექტარი ანუ მთელი ტერიტორიის დაახლოებით 19 პროცენტი უკავია.

მრეწველობა ლიტვაში სუსტად არის განვითარებული. ძირითადი ადგილი უმთავრესად კვების, ხისდამმუშავებელი და ტყავის მრეწველობის წვრილ საწარმოებს უკავია. მთელს ლიტვაში 75 საწარმოა, რომელთაგანაც თვითეულს 50-ზე მეტი მუშა ჰყავს. 1.061 საწარმოს 5 — 50 მუშა ჰყავს თვითეულს. ლიტვის მრეწველობის სუსტი განვითარება გამოწვეულია ნედლეულის, სათბობისა და შინა ბაზრის მცირე მოცულობით, უმთავრესად კი იმით, რომ იგი მოწყვეტილი იყო საბჭოთა კავშირის ბაზარს. მსოფლიო ომამდე, როდესაც ადგილობრივი მრეწველობა მხოლოდამხოლოდ რუსეთიდან შეზიდული ნედლეულით მუშაობდა, ლიტვაში 5 ათასამდე საწარმო იყო. 1936 წელს ლიტვის მთელს მრეწველობასა და ტრანსპორტში სულ 40 ათასი მუშა იყო.

ლიტვის მთავარი ქალაქია კაუნასი (კოვნო). თავისი ხელსაყრელი ადგილმდებარეობის მეოხებით მან დიდი ხანია საყურადღებო სავაჭრო მნიშვნელობა მოიპოვა. კაუნასი მდებარეობს მდინარე ნემანსა და სარკინიგზო კვანძზე, რის გამოც მას სატრანზიტო მნიშვნელობაც აქვს. ქალაქში 152 ათასი კაცი ცხოვრობს. აქ 30-ზე მეტი სამრეწველო საწარმოა, უმთავრესად კვებისა და ლითონდამამუშავებელი საწარმო და ცენტრალური სარკინიგზო სახელოსნო. კაუნასში თავმოყრილია ლიტვის სამრეწველო მუშების მეხუთედი ნაწილი.

კაუნასი ლიტვის ერთერთი უძველესი ქალაქი და მსხვილი კულტურული ცენტრია. აქ არის ლიტვის ერთადერთი უნივერსიტეტი, რომელიც 1922 წელს დაარსდა.

ლიტვის სხვა დიდი ცენტრებია: შაულიაი (შავლი) — 30 ათასზე მეტი მცხოვრებით, პანევეჟისი — 25 ათასი მცხოვრებით და მარიამპოლე — 15,5 ათასი მცხოვრებით. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოფლებსა და დაბებში ცხოვრობს.

ლიტვის რკინიგზის ქსელი ლატვიის ნავსადგურ ლიეპაიასკენ (ლიბავა) ვრცელდება. ლიტვაზე გადის დიდი სარკინიგზო მაგისტრალი ლიბავა-რომნი. ეს მაგისტრალი შეიცავს ისეთ დიდ სარკინიგზო კვანძებსა და ცენტრებს, როგორიც არის შაულიაი, იონავა, კაიშადორისი — ლიტვაში; მოლოდეჩნო — დასავლეთ ბელორუსიაში; მინსკი, ბობრუისკი, ძლობინი, გომელი, ბახმაჩი და რომნი — სსრ კავშირში. მაგისტრალის საერთო სიგრძე დაახლოებით 2 ათასი კილომეტრია. ეს იყო ერთერთი ძირითადი გზა, რომლითაც რუსეთი ტვირთს ჰგზავნიდა ბალტიისპირა მხარეში. მსოფლიო ომის დროს ლიბავა-რომნის რკინიგზას, რომელიც რუსეთის ცენტრებს ბალტიის ზღვას უკავშირებდა, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ლიტვის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა გასული წლის 11 თვის განმავლობაში 42 მილიონ ოქროს დოლარს შეადგენდა. ლიტვის ექსპორტის მთავარი საგნებია: კარაქი — მთელი ექსპორტის 18,5 პროცენტი, ხე-ტყე — დაახლოებით 17 პროცენტი, სელი — 13,1 პროცენტი, ბეკონი — 12 პროცენტი, ცოცხალი პირუტყვი — 10 პროცენტი. ლიტვას შეაქვს საფეიქრო ნაწარმი, ქვანახშირი, შაქარი, ნავთის პროდუქტები და მანქანები.

ლიტვამ ამ უკანასკნელ წლებში სსრ კავშირთან დასდო მთელი რიგი სავაჭრო შეთანხმებანი, რომელთა შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა ორივე ქვეყანას შორის მნიშვნელოვნად გადიდდა. 1935 წელს სსრ კავშირის წილი ლიტვის საგარეო ვაჭრობაში დაახლოებით 13 პროცენტს უდრიდა. სსრ კავშირმა მეორე ადგილი დაიკავა ლიტვის იმპორტში და მესამე ადგილი — ექსპორტში.

ლიტვის შეიარაღებული ძალები მცირეა. მისი სახმელეთო არმია 24.000 კაცისაგან შესდგება და სამ ქვეითს დივიზიას, ერთ ცხენოსან ბრიგადას და მცირერიცხოვან ტექნიკურ ჯარს შეიცავს. ლიტვის საჰაერო ფლოტში 100-ზე მეტი თვითმფრინავია. სამხედრო-საზღვაო ფლოტს შეადგენს ერთადერთი სამხედრო გემი — ტრაულერი „პრეზიდენტი სმეტონა“ და რამდენიმე მატორიანი კატარღა. ლიტვას სამხედრო მრეწველობა არა აქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე საავიაციო სახელოსნოს.

* * *

საბჭოთა კავშირი, ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპების ერთგული, სსრ კავშირსა და ლიტვას შორის მეგობრობის განმტკიცების მიზნით, ლიტვის რესპუბლიკას აძლევს ქალაქ ვილნოს და ვილნოს ოლქს.

ვილენშჩინა იყო შინაური კოლონია პოლონელი პანებისა, რომლებმაც აქ ნაციონალური ჩაგვრისა და ველური თვითნებობის რეჟიმი დაამყარეს. მათმა კოლონიზატორულმა პოლიტიკამ გამოიწვია ოლქის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განადგურება. პოლონელი ხელისუფალნი აქ ხურავდნენ საწარმოებს, ან გადაჰქონდათ ისინი ცენტრალურ პოლონეთში. პოლონელ დამპყრობთა ბატონობას მოჰყვა ის, რომ ვილნოში სულ 6 ათასამდე სამრეწველო მუშა დარჩა. შესწყდა მოსახლეობის ზრდა. ქალაქში არის 208 ათასი მცხოვრები, ე. ი. თითქმის იმდენივე, რამდენიც 25 წლის წინათ იყო. ლიტვის ნაციონალურ კულტურას არსებობის უფლება არა ჰქონდა, კულტურულ ორგანიზაციებს, სკოლებს, ბიბლიოთეკებს და თეატრებს ხურავდნენ, ლიტვურ ენას სდევნიდნენ.

ლიტვისათვის ვილნოს ოლქის დაბრუნება წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის, პატარა ხალხების სუვერენული უფლებებისადმი პატივისცემის მკაფიო დემონსტრაციას, იმის მკაფიო დემონსტრაციას, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის დაიცვას მათი უშიშროება.

„საბჭოთა კავშირი და ლიტვის რესპუბლიკა, — ნათქვამია სსრ კავშირსა და ლიტვას შორის დადებულ ხელშეკრულებაში, — ვალდებულებას კისრულობენ ერთად განახორციელონ ლიტვის სახელმწიფო საზღვრების დაცვა, რისთვისაც საბჭოთა კავშირს უფლება ეძლევა ლიტვის რესპუბლიკის პუნქტებში, რომლებიც დაწესებული იქნება ურთიერთი შეთანხმებით, თავის ხარჯზე იყოლიოს საბჭოთა სახმელეთო და საჰაერო შეიარაღებული ძალების მტკიცედ განსაზღვრული რაოდენობა“.

ლიტვა, რომელსაც არ გააჩნია არც საზღვაო ფლოტი, არც ძლიერი ავიაცია, შეიძლებოდა გამხდარიყო დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა თავდასხმის მსხვერპლი. სსრ კავშირსა და ლიტვას შორის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადება უზრუნველჰყოფს ლიტვის დამოუკიდებლობას, ემსახურება მისი შემდგომი ეკონომიური და კულტურული აყვავების საქმეს.

ლიტვასთან დადებული ხელშეკრულება, ესტონეთთან და ლატვიასთან დადებულ ურთიერთდახმარების პაქტებთან ერთად, წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის იმ პოლიტიკის თანმიმდევრობის დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ უზრუნველყოფილ იქნას სსრ კავშირის უშიშროება, თავიდან აცილებულ იქნას იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მხრივ აგრესიის შესაძლებლობა.

სსრ კავშირსა და ლიტვას შორის ურთიერთდახმარების შესახებ დადებული ხელშეკრულება საყოველთაო მშვიდობიანობის საქმეს ემსახურება.

მ. მარკოვი.

ანატოლ ფრანსი

(გარდაცვალებიდან 15 წლისთავის გამო)

ანატოლ ფრანსმა (მისი ნამდვილი გვარია ტიბო) დიდხანს იცოცხლა. დაიბადა 1844 წელს, ცხოვრობდა მეორე იმპერიის ეპოქაში, იყო მოწმე საფრანგეთის დამარცხებისა 1870 წელს, მოწმე პარიზის კომუნისა და მოქალაქე პირმოთნე მესამე რესპუბლიკისა. იგი პირველი მიესალმა რუსეთის პირველ რევოლუციას 1905 წ. და გულისტკივილით განიცადა მისი დამარცხება. აღტაცებით მიიღო მან ოქტომბრის დიადი სოციალისტური რევოლუცია, პროტესტით გამოეხმაურა ანტანტის ინტერვენციას და თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში სიამოვნებით უწოდებდა თავის თავს კომუნისტს.

ფრანსი დაიბადა ბუკინისტის ოჯახში და ამ გარემოებამ მცირემნიშვნელოვანი როლი როდი ითამაშა მის შემოქმედებითს განვითარებაში. იგი იყო მწიგნობარი ამ სიტყვის უკეთესი მნიშვნელობით: უყვარდა წიგნი ისე, როგორც გორკის. მას ჰქონდა კოლოსალური ერუდიცია და უსაზღვროდ დიდი მეხსიერება.

დიდმა პროზაიკოსმა ა. ფრანსმა ჩქარა როდი მოსძებნა საკუთარი შემოქმედებითი გზა. ახალგაზრდობისას ის ლექსებს სწერდა. თავისი სტილით პოეტი უახლოვდებოდა პარნასის ჯგუფის პოეტებს. პარნასელებს იზიდავდნენ ეგზოტიკური არაჩვეულებრივი მოვლენები. სოციალურ თემატიკას ისინი დაჟინებით უვლიდნენ გვერდს. მაგრამ პარნასელები როდი იყვნენ ანატოლ ფრანსის მასწავლებლები. ის დაეწაფა ანტიკურ ფილოსოფიას, განსაკუთრებით მატერიალისტ ეპიკურეს მოძღვრებას, რენესანსის ეპოქის დიდი ჰუმანისტების (განსაკუთრებით ფრანსუა რაბლეს) და XVIII საუკ. ფრანგი „განმანათლებლების"—საფრანგეთის პირველი რევოლუციის წინამორბედების —ნაწერებს.

როგორც მისი მასწავლებლები ანატოლ ფრანსიც დარწმუნებული იყო, რომ ადამიანი ბუნების ყველაზე საუცხოო მოვლენაა. ფრანსი ხედავდა, რომ საფრანგეთში და მთელ ბურჟუაზიულ სამყაროში შეუძლებელია მისი იდეალების ზეიმი. სხვა არაბურჟუაზიული ქვეყნის არსებობის შესაძლებლობაში კი იგი დარწმუნებული არ იყო. ამიტომ ჩაიკეტა იგი წარსულ სახეთა სამყაროში. 90-იან წლებში გამოვიდა ფრანსის განწყობილებისათვის მეტად დამახასიათებელი ნაწარმოებები. XVIII საუკუნის მანერით დაწერილი რომანი „დედოფალ პედოკის სამზარეულო" და ფილოსოფიური მოთხრობა „აბატ ჟერომ კუანიარის შეხედულებანი". ამ წიგნების მთავარ მომქმედ პირებად გვევლინება გაკრეჭილი მღვდელი კუანიარი, ეპიკურელი და სკეპტიკოსი, რომელიც ხალხთან დამოკიდებულებაში სიძულვილთან შეზავებულ კეთილისმყოფლობას იჩენს. კაცობრიობის მთელი ისტორია,—ამბობს აბატი,—შეიძლება მოგითხროთ სამი სიტყვით: იბადებიან, იტანჯებიან, კვდებიან. ასე ფიქრობდა ან. ფრანსიც თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში.

90-იანი წლების ნახევარში მწერალში გარდატეხა მოხდა. საფრანგეთი აახმაურა დრეიფუსის საქმემ, რომელმაც მთელი ქვეყნიერება ორ ბანაკად გაჰყო. საფრანგეთის გენერალური შტაბის ოფიცერი ებრაელი დრეიფუსი ყალბი საბუთების საფუძველზე მსჯავრდადებული იყო სახელმწიფო ღალატისათვის. მისი უდანაშაულობა აშკარა იყო, მაგრამ საფრანგეთის სამხედრო წრეები, რომლებსაც მხარს უჭერდნენ კლერიკალები, მონარქისტები და შოვინისტები, ცდილობდნენ რათაც არ უნდა დასჯდომოდათ მოესპოთ განწირული მსხვერპლი. დაიწყო ანტისემიტიზმის თარეში. საფრანგეთის საუკეთესო ადამიანებს არ შეეძლოთ მშვიდობიანად ეცქირათ გონიერებისა და სამართლიანობის ასეთი შეგინების ფაქტისათვის. ემილ ზოლა, ანატოლ ფრანსი, მწერლები, მხატვრები, მეცნიერები გამოდიოდნენ დრეიფუსის დამცველებად.



მათ განიცადეს რეაქციონერთა მკაცრი სიძულვილი, მაგრამ ამ ბრძოლიდან ისინი საბრძოლო გამოცდილებით გამდიდრებულნი გამოვიდნენ. ფრანსმა არსებითად შეიგნო, თუ რა არის ეს ეგრეთწოდებული მესამე დემოკრატიული რესპუბლიკა საფრანგეთში. „წმინდა" სილამაზისა და პესიმიზმის არე ვიწრო შეიქნა მწერლისათვის. ამას ადასტურებს მთელი ციკლი მისი რომანებისა საერთო სათაურით: „თანამედროვე ისტორია". ეს რომანები გამოირჩევიან ფრანსის ძველი ნაწერებიდან თავისი საჭირბოროტო ყოველდღიურობითა და პოლიტიკური სიმახვილით.

1897-1907 წლებში ფრანსმა დიდი მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ის გამოდის მუშათა სოციალისტურ მიტინგებზე, მეგობრობს ჟან ჟორესთან, პროტესტს აცხადებს იმ სისხლიანი მსჯავრის გამო, რომელიც რუსეთის თვითმპყრობელობამ პროლეტარიატს დასდო 1905 წლის 9 იანვარს. ის მეთაურობს საფრანგეთის ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც წინააღმდეგი იყო მეფის მთავრობისათვის სესხის მიცემისა, პროტესტს აცხადებს მაქსიმ გორკის დაპატიმრების გამო. მას მხედველობიდან არ გამოპარვია სოციალისტების ლიდერთა პოლიტიკური პრაქტიკის ოპორტუნისტული ხასიათი. ფრანსს ვერ გაეგო ამ პარტიის ლიდერებსა და მასას შორის განსხვავება. საფრანგეთის სოციალისტურმა მოძრაობამ მას თანდათან გაუქარწყლა იმედები. 1905 წლის რევოლუციის განადგურებამ გააღრმავა ფრანსის პესიმიზმი.

1908 წელს გამოდის ფრანსის სატირული ფანტასტიკური რომანი „პინგვინების კუნძული". ეს არის საფრანგეთის მთელი ისტორია უხსოვარ დროიდან დღემდე.

ოქტომბრის დიადმა სოციალისტურმა რევოლუციამ დაუმტკიცა ფრანსს, რომ კაცობრიობას შეუძლია ჰპოვოს გამოსავალი უბედურებისა და უსამართლობის არედან. სწორედ ამიტომ ესოდენ სიხარულითა და აღტაცებით მიეგება ახალი ქვეყანა მხატვრული სიტყვის დიდებულ ოსტატს — ანატოლ ფრანსს.

ფრანსის მიერ შექმნილი სახეები წარმოადგენენ ძვირფას იარაღს მთელი მოწინავე კაცობრიობის ბრძოლაში ჭეშმარიტი კულტურისა და პროგრესისათვის.

ბ. ეტინგინი

საბჭოთა მოლდავეთი

(მოლდავეთის ასსრ 15 წლისთავი 1924 წ. 12 ოქტომბერი—1939 წ. 12 ოქტომბერი)

სსრ კავშირის უკიდურეს სამხრეთ დასავლეთში, დნესტრის მარცხენა ნაპირის გასწვრივ, მდებარეობს პატარა საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც შედის უკრაინის სსრ შემადგენლობაში. ეს არის მოლდავეთის ასსრ, რომელსაც უჭირავს 8 ათასზე მეტი კილომეტრი ტერიტორია 600.000-ზე მეტი მცხოვრებით.

მძიმე და უსიხარულო იყო მოლდაველების ცხოვრება რევოლუციამდე. მიწების 70 პროცენტი ეკუთვნოდა მემამულეებს, კულაკებსა და მონასტრებს. მოლდაველი ხალხი საუკუნეობით გმინავდა მიწის მაგნატების გაგარინების, იუიცკების და სხვ. უღელქვეშ; ამ მსხვილი მემამულეებიდან თვითეული ჰფლობდა მიწის უზარმაზარ ფართობებს, რომლებიც აღწევდნენ 10-20-30 ათას ჰექტარს. მიწას ამუშავებდნენ შრომისმოყვარე მოლდაველი გლეხები, რომლებიც მუდამ ნახევრადმშივრები დიდ სიღატაკეში ცხოვრობდნენ. ხუცები, კულაკები და მემამულეები მოლდაველ გლეხებს „ლომიჟნიკებს" ეძახოდნენ, იმიტომ რომ ისინი მთელი წლის განმავლობაში იკვებებოდნენ სიმინდის ფქვილის ღომით. პური მოლდაველი გლეხისათვის ფუფუნების საგანს წარმოადგენდა. პურს სჭამდნენ მხოლოდ დიდ დღესასწაულებზე.

მემამულეებსა და კულაკებს თავიანთ მეურნეობებში მოჰყავდათ უმთავრესად ხორბალი საექსპორტოდ. ღარიბი და საშუალო გლეხები კი თავიანთ ღატაკურ ნადელებზე, რომლებიც ბევრ სოფელში ნახევარ დესეტინაზე მეტს არ შეადგენდნენ, სთესავდნენ სიმინდს და იკვებებოდნენ სიმინდის ღომით.

მოლდაველი ხალხი იყო ერთერთი ყველაზე ჩამორჩენილი ხალხთაგანი მეფის რუსეთში. მოსახლეობის ოთხი მეხუთედი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. მთელს მოლდავეთში არ იყო არცერთი მოლდავური სკოლა. ცალკეული მაზრების მოსახლეობაში, როგორც, მაგალითად, ბალტის მაზრაში, წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი 8-ს ძლივს აღწევდა. რუსულ სკოლებში სწავლობდა მოლდაველი ბავშვების მხოლოდ 7,5 პროცენტი. მოლდაველი ხალხის უმეცრებით სარგებლობდნენ და ჯიბეს ისქელებდნენ ხუცები და ბერები. მეფის მთავრობა გულმოდგინედ ავრცელებდა მოლდავეთში ეკლესიებსა და მონასტრებს. ყოველ სოფელში იყო 1-2 ეკლესია. სამაგიეროდ არ იყო არც გაზეთი, არც წიგნი, არც თეატრი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოლდავეთი სავსებით გამოიცვალა. სოციალისტურმა რეკონსტრუქციამ სოფლის მეურნეობისა, რომელსაც მოსახლეობის ექვსი მეშვიდედი მისდევს, და ინდუსტრიალიზაციამ სავსებით შესცვალეს მოლდავეთის ასსრ სახე. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას სპეციალურად ეძლევა მევენახეობის, მებაღეობისა და მებოსტნეობის მიმართულება, ამავე დროს იზრდება მარცვლეული მეურნეობაც. ამჟამად მთელი საბჭოთა მოლდავეთი წარმოადგენს აყვავებულ ბაღნარს. მებოსტნეობისა და მევენახეობის პროდუქციის მიხედვით ამ პატარა რესპუბლიკას ერთერთი პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის მებოსტნეობის ოლქებს შორის. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბაღებისა და ვენახების ფართობი 6.000 ჰექტარიდან გაიზარდა 46.100 ჰექტარამდე — 7½-ჯერ. შაქრის ჭარხლის მოსავლიანობით რესპუბლიკას პირველი ადგილი უჭირავს უკრაინის სს რესპუბლიკაში.

საბჭოთა მოლდავეთის მთელი სახნავი მიწის 99,2 პროცენტი სამუდამო სარგებლობაში გადაცემული აქვს კოლმეურნეობებს. თვითეულ კომლზე ამჟამად მოდის საშუალოდ 6,5 ჰექტარი. მინდვრების მოსავლიანობა ფართო მექანიზაციის, მაღალი აგროტექნიკის დანერგვის და სტახანოვური მოძრაობის დიდი გაქანების მეოხებით გაიზარდა 4-5-ჯერ.

რესპუბლიკის მინდვრებზე მუშაობს 27 მტს-ი, 1000 ტრაქტორზე მეტი, 500-მდე კომბაინი, ათასობით სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები. თითქმის მთელ სათეს ფართობს ტრაქტორებით ამუშავებენ. მარცვლეულ კულტურათა ნათესების ნახევარს და მზესუმზირას ნათესების სამ მეოთხედს იღებენ კომბაინებით. ქიმიური სასუქების გამოყენება სავალდებულო გახდა.



ძველი მოლდავეთის მთელი „მრეწველობა" შესდგებოდა ორი პატარა ქარხნისა და ღვინის რამდენიმე სარდაფისა და რამდენიმე წისქვილისაგან. თავისი თხუთმეტი წლის იუბილეს მოლდავეთის ასსრ ხვდება ახლად შექმნილი სოციალისტური მრეწველობით, განსაკუთრებით კვების მრეწველობით. 1938 წელს რესპუბლიკაში ითვლებოდა 220-მდე სამრეწველო საწარმო, მათ შორის 8 დიდი ქარხანა, რომლებიც წელიწადში ამზადებენ 1.306 ათას დეკალიტრ ღვინოს და 3 საკონსერვო ქარხანა, რომლებიც იძლევიან 20 მილიონამდე ქილის პროდუქციას.

საამურად და შეძლებულად ცხოვრობს ახლა მოლდაველი ხალხი სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ. რესპუბლიკაში სწრაფად ვითარდება ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. მოლდავეთი გახდა წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის რესპუბლიკა. მოლდავეთის ასს რესპუბლიკას 1939 წლის დასაწყისისათვის ჰქონდა 504 დაწყებითი და საშუალო სკოლა, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მთელი ქსელი, 20 გაზეთი, 3 თეატრი, ათობით კინო-თეატრები და კლუბები, 92 საავადმყოფო და ამბულატორია, 170 საფერშლო პუნქტი, 22 საბავშვო ამბულატორია, 109 საკოლმეურნეო სამშობიარო სახლი. ამჟამად რესპუბლიკაში არ არის არცერთი სოფელი, სადაც არ იყოს სკოლა და სამშობიარო სახლი, მოლდავური წიგნი და გაზეთი. ძველ მოლდავეთში სრულებით არ იყო ელექტროგანათება, ახლა კოლმეურნეობათა უმრავლესობაში არის ელექტროგანათება და რადიო. საბჭოთა მოლდავეთმა ააგო 52 ელექტროსადგური. სოფლები დაკავშირებული არიან გზატკეცილებითა და ტელეფონით.

მოლდავეთში გამოიზარდა საბჭოთა ინტელიგენციის მრავალათასიანი რაზმი. 4 ათასზე მეტი მასწავლებელი, სამრეწველო საწარმოების ათასობით სპეციალისტები, აგრონომები, ქოხ-სამკითხველოების, ბიბლიოთეკების მუშაკები, ხელოვნების მუშაკები, ასობით ექიმები — ასეთია ეს რაზმი, რომელიც წლითიწლობით იზრდება. მოლდავეთის უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სწავლობს 4.000-მდე სტუდენტი. დიდი რაოდენობა კოლმეურნე ბრიგადირებისა, ქოხ-ლაბორატორიების მუშაკებისა, ტრაქტორისტებისა და კომბაინერებისა, რომლებიც გამოიზარდნენ პრაქტიკულ მუშაობაში, გახდნენ ნამდვილი საბჭოთა ინტელიგენტები.

სოფელ ფრანცუზსკოეში მთელი მისი არსებობის განმავლობაში რევოლუციამდე არ იყო არცერთი კაცი უმაღლესი ან თუნდაც საშუალო განათლებით, უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში კი ამ სოფელმა ქვეყანას მისცა 7 ინჟინერი, 11 აგრონომი, 18 მასწავლებელი, წითელი არმიის 4 მეთაური და სხვ. მოლდავეთის ასსრ კოდიმის რაიონს ჰყავს ახლა საბჭოთა ინტელიგენციის რაზმი 1.600 კაცის რაოდენობით.

რესპუბლიკაში გამოიზარდნენ ტექნიკას დაუფლებული შესანიშნავი კადრები. ათასობით სტახანოველები გვიჩვენებენ სოციალისტური შრომის, ტექნიკის ბოლომდე გამოყენების ნიმუშებს.

ამას მოწმობს მოლდავეთის ასსრ სტენდები უკრაინის სსრ პავილიონში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. 17 კოლმეურნეობიდან, რომლებსაც მომსახურებას უწევს მოლდავეთის საუკეთესო მტს-ი — ვორონკოვის მტს—თექვსმეტმა მოიპოვა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება, მათ შორის ცხრამ მარცვლეული კულტურებისა და შვიდმა შაქრის ჭარხლის დარგში. საბჭოთა მოლდავეთის მევენახეობის ერთერთ საუკეთესო კოლმეურნეობას წარმოადგენს კარლ მარქსის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელიც წარმოდგენილია გამოფენაზე. გასულ წელს კონტრაქტაციით ყურძნის ჩაბარების გეგმა მან შეასრულა 367 პროცენტით, თვითეულ ჰექტარზე მიიღო 140 ცენტნერი მოსავალი. კოლმეურნეობას აქვს თავისი პური, საბავშვო ბაგა, ქოხ-ლაბორატორია, სამშობიარო სახლი. კოლმეურნეები შეძლებულად ცხოვრობენ.

ფრუნზეს სახელობის საბჭოთა მეურნეობაში, რომელსაც აქვს 252 ჰექტარი ბაღი და ვენახი და 122 ჰექტარი ხეხილის სანერგე, თითქმის ყველა მუშა დაეუფლა ტექნიკურ მინიმუმს. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც სტახანოველებმა მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს. მაგალითად, რგოლის ხელმძღვანელმა ქალმა ე. პ. კოლომიეცმა 1938 წელს 5,3 ჰექტარიდან მიიღო 95,6 ცენტნერი გარგარი ჰექტარზე.

მეფის რუსეთის ჩამორჩენილი და ჩაგრული განაპირა კუთხიდან მოლდავეთი, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის მეოხებით, ბოლშევიკების პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ზრუნვის მეოხებით, გადაიქცა აყვავებულ ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, ორი სამყაროს საზღვარზე სოციალიზმის მტკიცე ციხესიმაგრედ.

სტალინური მეგობრობით ცხოვრობენ ამ პატარა რესპუბლიკის ხალხები — მოლდაველები, უკრაინელები, ებრაელები, რუსები, პოლონელები, თვითეული თავის ენაზე ქება-დიდებას ასხამს დიდ და ბრძენ **სტალინს**, რომელმაც მათ, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს, შეუქმნა საამური, ბედნიერი ცხოვრება.

პარტიული ცხოვრება

მზრუნველობით ვზარდოთ ახალგაზრდა კომუნისტები

ხაშურის რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ მუშაობას ეწევიან ახალგაზრდა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის.

რაიკომმა პირველ რიგში სერიოზული ყურადღება მიაქცია წერა-კითხვის მცირემცოდნე კანდიდატებისათვის დახმარებას. მაგალითად, სოფელ ფლევის საინსტრუქტორო ზონაში 16 კომუნისტია წერა-კითხვის მცირემცოდნე. რაიკომმა მათ მიამაგრა მასწავლებლები, რათა კარგად შეასწავლონ წერა-კითხვა. ენერგიულად მეცადინეობს თავისი ცოდნის დონის ასამაღლებლად კომუნისტი ამხ. მ. ხარაზიშვილი, რომელსაც დახმარებას უწევს მასწავლებელი ამხ. ე. ნოზაძე.

ზოგიერთი მასწავლებელი უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავისი მოვალეობის შესრულებას, მაგალითად, მასწავლებელ დ. ტეფნაძეს დავალებული ჰქონდა დახმარება გაეწია წერა-კითხვის შესწავლაში ფლევის მცირემცოდნე კომუნისტებს—ამხ. გ. გაჩეჩილაძეს, ს. იველიშვილისა და გელაშვილისათვის, მაგრამ ტეფნაძეს მათთან ერთი მეცადინეობაც არ ჩაუტარებია. ასევე სუსტად ეხმარება მცირემცოდნე კომუნისტებს მასწავლებელი ამხ. ლ. ნოზაძე.

ხაშურის რაიონში არიან მოწინავე პირველადი პარტიული ორგანიზაციებიც, რომლებმაც XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ახალგაზრდა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური აღზრდა. გაიზარდა კომუნისტების საწარმოო აქტივობაც. ხაშურის ბერიას სახელობის ელდეპოს პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში (პარტბიუროს მდივანი—ა. ქიმერიძე) პარტიის წევრობის 44 კანდიდატია. პარტბიურო მათთან სისტემატურად ატარებს საუბრებს პარტიის ისტორიის შესწავლის საკითხებზე, პარტიის პროგრამისა და წესდების შესახებ და სხვ. ყველა პარტკანდიდატს მიცემული აქვს შესაფერისი პარტიული დავალება, რომლის შესრულებას პარტბიურო სისტემატურად ამოწმებს. პარტკანდიდატებიდან 34 სტახანოველია. მოწინავენი არიან მემანქანეები ამხ. ი. მაღლაკელიძე, დ. რუხაძე, გ. ბრეგვაძე, მემანქანის თანაშემწეები ამხ. ა. კიკაძე, თამარ შათაშვილი, მონტიორი ამხ. ვ. ტალახაძე და დეპოს უფროსის მოადგილე ამხ. დ. კიკაძე. პარტკანდიდატები აქტიურ მონაწილეობას იღებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებაში. მაგალითად, პარტწევრობის 15 კანდიდატი აგიტატორია, 12 კი გაზეთის მესაუბრე-წამკითხველი. ელდეპოში ხშირად ტარდება კონსულტაციები, ლექციები და საუბრები.

კარგად მუშაობენ პარტკანდიდატებთან აგრეთვე ენერგომომარაგების განყოფილების, სავაგონო დეპოს და სოფელ ტეზრის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

თუმცა რაიკომმა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები დასახა პარტკანდიდატებთან მუშაობის დარგში, მაგრამ ზოგან მუშაობა ისევ სუსტად არის დაყენებული, მაგალითად, სოფელ წაღვლის საკოლმეურნეო პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი—გელაშვილი) მიმდინარე წელს პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო მხოლოდ 3 კაცი, რომლებსაც თუმცა მისცა პარტიული დავალებები, მაგრამ არ შეუმოწმებია, როგორ ასრულებენ ამ დავალებებს. პარტკანდიდატებთან მუშაობის დარგში არსებული ნაკლოვანებანი აიხსნება პარტიული ორგანიზაციებისადმი რაიკომის ინსტრუქტორების სუსტი დახმარებითაც. პარტკანდიდატებთან მუშაობის დარგში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომი მონდომებით იმუშავებს.

გ. სამადბეგოვი

საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების გამგე.

არ იცავენ პარტიაში მისაღებთა ინდივიდუალური შერჩევის პრინციპს

(ლენტეხი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

ქვემო-სვანეთის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს პარტიის რიგების ზრდის გაუმჯობესებისათვის. მნიშვნელოვნად გაიზარდა რაიონის პარტიული ორგანიზაცია XVIII პარტყრილობის შემდეგ, ბევრი მოწინავე და თავდადებული ამხანაგი იქნა მიღებული პარტიის რიგებში.

მაგალითად, პარტიაში მიღებულია რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. გ. მუშკუდიანი, რომელიც დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის", დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ამხ. ანა ასათიანი — მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" დაჯილდოებული, სოფელ ჭველიერის კოლმეურნეობის სტახანოველი ამხ. ჯ. ხაბულიანი, ვეტექიმი მარო გაბიანი, ინჟინერი დ. გულბანი და სხვ.

მაგრამ რაიონის ზოგიერთმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ დაივიწყა XVIII პარტყრილობის მითითებანი იმის შესახებ, რომ პარტიაში მიღება ვაწარმოოთ მტკიცე ინდივიდუალური შერჩევის წესით. ამის შედეგად ზოგან პარტიის რიგებში მიღებულ იქნენ პარტიისათვის შეუფერებელი ადამიანები. მაგალითად, ჩიხარეშის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტორგი — გ. მარგიანი) ერთ კრებაზე პარტიის წევრობის კანდიდატებად მიიღო 5 კაცი წინასწარი, ინდივიდუალური შესწავლის გარეშე. როდესაც მათი პარტიაში მიღების საკითხს რაიკომი იხილავდა, გამოირკვა, რომ ისინი არ იყვნენ ღირსი პარტიაში მიღებისა, რადგან მიცემული არიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის საქმეებზე — სახელმწიფო სახსრების გაფლანგვისათვის. ჯახუნდრის პირველადმა პარტორგანიზაციამ (პარტორგი — ბ. ონიანი) პარტკანდიდატად მიიღო გ. ონიანი, რომელიც პარტრაიკომის ბიურომაც დაამტკიცა, ხოლო საკანდიდატო ბარათის მიცემის დროს გამოირკვა, რომ ის მიცემულია პასუხისგებაში და მისჯილი აქვს იძულებითი მუშაობა, რაც დღემდე არ მოუხდია.

ქვემო-სვანეთის რაიონში ზოგიერთი კომუნისტი უპასუხისმგებლობას იჩენს რეკომენდაციების მიცემის საქმეში. მაგალითად, ლენტეხის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ პარტწევრობის კანდიდატად მიიღო ამხ. ა. გელაშვილი, მას რეკომენდაცია მისცეს ამხ. ი. ონიანმა და ს. ლიპარტიანმა, რომლებიც სრულებით არ იცნობდნენ გელაშვილს. მაგალითად, ონიანმა ასე განაცხადა: „ერთხელ თბილისში ჩავედი შვილის სანახავად მუშფაკში და, როგორც მახსოვს, გელაშვილი იქ იყო მასწავლებლად". ლიპარტიანი კი ასე აცხადებს — „მე ა. გელაშვილს ვიცნობ იქიდან, რომ ერთ საღამოს ის მოვიდა ლასკადურის მჟავე წყალზე და იქ გავიცანიო".

ჩოლურის პირველადმა პარტორგანიზაციამ პარტკანდიდატად მიიღო ამხ. დ. ბენდელიანი, შეკითხვაზე, თუ საიდან იცნობთ ბენდელიანსო, რეკომენდატორმა ამხ. ა. ლიპარტიანმა განაცხადა: „ბენდელიანს ასე ვიცნობ: ერთხელ მე და ის კომკავშირულ სარაიონო კრებას ვესწრებოდითო". მეორე რეკომენდატორმა ამხ. ვ. გოგინაშვილმა განაცხადა: „ბენდელიანს იქიდან ვიცნობ, რომ მე სასადილოს გამგე ვიყავი და ის რამდენჯერმე შემოვიდა ჩემთან სადილის საჭმელადო".

ასეთ უპასუხისმგებლობას რეკომენდაციის მიცემის საქმეში გადაჭრით უნდა მოვუღოთ ბოლო.

ალ. ჯინჭარაძე

ესტონეთის პრესა სსრ კავშირთან დადებული პაქტის შესახებ

ტალინი, 10 ოქტომბერი (საკდესი). ადგილობრივი ესტონური პრესა დაწვრილებითს მასალას აქვეყნებს საბჭოთა კავშირ - ესტონეთის პაქტის შესახებ. გაზეთი „მააკეელი" ჰბეჭდავს „იზვესტიის" მოწინავე სტატიას პაქტის შესახებ სათაურით „პატარა ქვეყნებს შეუძლიათ დამშვიდებული იყვნენ".

გაზეთი „ლიიუნა ესტი" (გამოდის ვალგაში) აქვეყნებს მასალას საბჭოთა კავშირ - ესტონეთის პაქტის შესახებ და აღნიშნავს ესტონეთისა და სსრ კავშირის სავაჭრო შეთანხმების დადებითს მნიშვნელობას. გაზეთი აღნიშნავს, რომ სავაჭრო საქმიანობამ უკვე გამოცოცხლება იწყო. ყოველდღიურად იგზავნება ლენინგრადში 27 ათასამდე კილოგრამი რძე. გაზეთი სწერს, რომ ესტონეთს შეუძლია შეასრულოს სსრ კავშირის დაკვეთები ვაგონებისა და გემების რემონტის დარგში.

გერმანიის პრესის აზრი

ბერლინი, 11 ოქტომბერი (საკდესი). საღამოს გაზეთები თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებენ ცნობას ლიტვის რესპუბლიკისათვის ქალაქ ვილნოს და ვილნოს ოლქის გადაცემისა და სსრ კავშირსა და ლიტვას შორის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ. გაზეთები უდიდეს ყურადღებას აქცევენ საბჭოთა მთავრობის მიერ ლიტვისათვის ქალაქ ვილნოს და ვილნოს ოლქის გადაცემას.

საბჭოთა კავშირ-ლიტვას შორის დადებული ხელშეკრულების დაწვრილებითი შინაარსის გადმოცემის შემდეგ, „ბერლინერ ბერზენცაიტუნგი" სწერს, რომ ლიტვისათვის ვილნოს გადაცემით შესრულებულია ლიტველი ხალხის სურვილი. ლიტვა ორი ათეული წლის განმავლობაში ცდილობდა დაებრუნებინა თავისი დედაქალაქი, მაგრამ პანების პოლონეთის სამხედრო მუქარის ზეგავლენით იგი იძულებული იყო უარი ეთქვა თავის სურვილზე. ლიტვას არასოდეს არ შეეძლო დაევიწყნა, თუ როგორ გაძარცვა იგი პანების პოლონეთმა. შემდეგ „ბერლინერ ბერზენცაიტუნგი" ხაზგასმით აღნიშნავს „პრავდის" აზრს იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობა ყოველთვის უყურებდა ვილნოს როგორც ლიტვის ტერიტორიას და ყოველთვის იცავდა ამ თვალსაზრისს. ამჟამად ლიტვასთან დადებული ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ იძლევა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრობის ახალ დამამტკიცებელ საბუთს. საბჭოთა კავშირ-ლიტვის ხელშეკრულებაში, აღნიშნავს გაზეთი, უნდა დავინახოთ ლიტვისა და საბჭოთა კავშირის უშიშროების მტკიცე გარანტია.

„დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლიტვასთან ვილნოს ახლანდელი შეერთება, აბსოლუტურად ლოგიკური შედეგია საბჭოთა პოლიტიკისა აღმოსავლეთ ევროპაში.

დალადიეს გამოსვლა

პარიზი, 11 ოქტომბერი (საკდესი). საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა დალადიემ გუშინ საღამოს წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც გადაცემულ იქნა რადიოთი. თავის სიტყვის დასაწყისში დალადიემ განაცხადა, რომ ინგლისისაგან საფრანგეთის ჩამოცილების ცდები მარცხით დამთავრდება და რომ ინგლის-საფრანგეთის სოლიდარობის განმტკიცებას მოწმობს ინგლისის ჯარის განუწყვეტელი გზავნა საფრანგეთში. შემდეგ თავს დაესხა რა საფრანგეთის კომუნისტებს იმისათვის, რომ ისინი ომის წინააღმდეგ გამოდიან, დალადიემ ყოველმხრივ დაიცვა ომის განგრძობის აუცილებლობა და უარჰყო გერმანიის წინადადება სამშვიდობო მოლაპარაკების შესახებ. დალადიე ამტკიცებდა, რომ „ომი თავზე მოახვიეს საფრანგეთს", და განაცხადა, რომ საფრანგეთი მანამდე არ დაჰყრის იარაღს, სანამ არ მიაღწევს მის წინაშე დასახული მიზნების განხორციელებას.

დასავლეთის ფრონტზე

პარიზი, 11 ოქტომბერი (საკდესი). საფრანგეთის კომუნიკეში, რომელიც დღეს დილით გამოქვეყნდა, იუწყებიან, რომ „ღამის განმავლობაში საარბრიუკენის სამხრეთით და პირმაზენსის სამხრეთით მდებარე რაიონში კვლავ უკუქცეულ იქნენ მტრის ძლიერი პატრულები".

პარიზი, 11 ოქტომბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო საომარი მოქმედების შესახებ გადმოგვცემს შემდეგ კომუნიკეს: „10 ოქტომბერი, საღამო. შემჩნეულია მტრის ჯარის მზვერავი ნაწილების აქტივობა მოზელსა და საარს შორის. ამ რაიონში ჩვენ მტრის რამდენიმე თავდასხმა მოვიგერიეთ; ამასთან ზოგიერთ ამ თავდასხმაში მონაწილეობას იღებდნენ დიდი ძალები".

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი (საკდესი). ინტერნეიშენელ ნიუს სერვისის სააგენტოს (ჰერსტის სააგენტო) იმ კორესპონდენტის ცნობით, რომელიც ამჟამად საფრანგეთში იმყოფება ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებთან ერთად, ინგლისის მფრინავებმა გერმანიის დასავლეთ სიმაგრეების დეტალური ფოტო-სურათები გადაიღეს. „ნიუ-იორკ ტაიმსის" პარიზელი კორესპონდენტის ცნობით, ამჟამად გერმანია თავს უყრის რეგულარული ჯარის დიდ შენაერთებს დასავლეთის საზღვრებზე. გერმანიის ჯარმა დაიწყო იერიშები საფრანგეთის პოზიციებზე. უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში გერმანიის პატრულები უშუალოდ მიუახლოვდნენ საფრანგეთის პოზიციებს. გერმანიის ჯარი დიდ ყურადღებას აქცევს დაზვერვითს ოპერაციებს მოზელისა და საარბრიუკენის სექტორებში.

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 11 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგ ცნობას:

„გერმანიის ავიაციამ მოულოდნელად დაუშინა ყუმბარები ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალებს ნორვეგიის დასავლეთ სანაპიროების მახლობლად. გერმანიის თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს დიდძალი ყუმბარა, რომელთაგანაც ექვსმა მეტისმეტად დააზიანა ინგლისის კრეისერები. გერმანიის ორი მოიერიშე თვითმფრინავი იძულებული გახდა დაშვებულიყო დანიის ტერიტორიაზე. თვითმფრინავების ეკიპაჟი არ დაზიანებულა".

ბერლინი, 11 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის უმაღლესი სარდლობა იუწყება: „აღმოსავლეთით გერმანიის არმიის ნაწილები უახლოვდებიან ცენტრალურ პოლონეთში გერმანიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ინტერესების საზღვარს, რომელიც მდინარე ბუგზე გადის.

დასავლეთით მშვიდად განვლილი ღამის შემდეგ დღის განმავლობაში მხოლოდ სუსტი საარტილერიო სროლა სწარმოებდა.

გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობა

ბერლინი, 11 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ „დაწყებული 7 ოქტომბრიდან, სწარმოებდა გერმანიის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების გაერთიანებული ოპერაციები ჩრდილოეთის ზღვის ჩრდილოეთ რაიონებში და ნორვეგიის დასავლეთ ნაპირებთან. ამ ოპერაციების მიმდინარეობის პროცესში გერმანიის თვითმფრინავებმა შესძლეს აღმოეჩინათ ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალები და ზიანი მიეყენებინათ მათთვის. საომარი ოპერაციები ზღვაზე კვლავ გაგრძელდება".

უთანხმოებანი ჩინეთის მარიონეტულ „მთავრობათა" ლიდერებს შორის

ჩუნცინი, 10 ოქტომბერი (საკდესი). ჩანშასთან ჩინეთის არმიის გამარჯვებასთან დაკავშირებით შემჩნეულია უთანხმოებათა გაძლიერება იაპონელთა მიერ ოკუპირებულ ჩინეთის ტერიტორიაზე შექმნილი მარიონეტული „მთავრობების" მოღვაწეთა შორის. უთანხმოებანი იმიტომაც გაძლიერდა, რომ ვან ძინ-ვეის ცდები—„ახალი ცენტრალური მთავრობა" შეექმნა 10 ოქტომბრისათვის — მარცხით დამთავრდა. როგორც იუწყებიან, 8 ოქტომბერს ნანკინის „რეფორმირებული მთავრობის" საკანონმდებლო პალატის თავმჯდომარე ვენ ძუნ-იაო განცხადებით გამოვიდა. მან სთქვა: არავითარი საჭიროება არ მოითხოვს შედგენილ იქნას ახალი „ცენტრალური მთავრობა" ვან ძინ-ვეის მეთაურობით, რადგან ამჟამად არსებულმა ადმინისტრაციამ დღემდეც ვერ შესძლო დაეწყნარებინა ხალხი ოკუპირებულ ტერიტორიაზე. „2 წლის ღონისძიებათა შემდეგ,—სთქვა ვენ ძუნ-იაომ,—ამ ადმინისტრაციამ არა მარტო ვერ აიძულა ხალხი უარი ეთქვა ჩინეთის ნაციონალური მთავრობის მხარდაჭერაზე, არამედ ამავე თანავე მარცხიც კი განიცადა ხალხის დამშვიდების საქმეში. თუმცა ჩვენ რაც ძალი და ღონე გვაქვს ვწერთ და გავყვირით სხვადასხვა მთავრობების შექმნის შესახებ, მაგრამ ხალხი ჩვენ მოღალატეს გვიწოდებს. თუ ასე გაგრძელდა, დროებითი და რეფორმირებული მთავრობებისაგან შექმნილი ახალი რეჟიმიც ვან ძინ-ვეის მეთაურობით უძლური იქნება".

ინფლაცია იაპონიაში

ტოკიო, 10 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთმა „ნიცი-ნიციმ" გამოაქვეყნა მოწინავე სტატია სათაურით: „თავიდან ავიცილოთ ბოროტი ინფლაციის განვითარება". სტატიაში ნათქვამია, რომ ამა წლის სექტემბრის დამლევს იაპონიაში ბრუნვაში იყო ქაღალდის ფული 2.663 მილიონი იენის რაოდენობით, ე. ი. 580 მილიონით მეტი, ვიდრე შარშან სექტემბერში. „ქაღალდის ფულის ასეთი დიდი რაოდენობით გამოშვების მიზეზს, — სწერს გაზეთი, — წარმოადგენს საიმპორტო საქონლის ფასების ზრდა, რაც ევროპის ომმა გამოიწვია, და აგრეთვე საქონლის ნაკლებობა იაპონიაში, რაც თავაშვებულ სპეკულაციას იწვევს". თუ სპეციალური ღონისძიებანი არ იქნა მიღებული ფინანსების მოგვარების დარგში, — აღნიშნავს გაზეთი, — იაპონიის ეკონომიკას გარდუვალად სრული კრახი მოელის.

ჰიტლერის გამოსვლა

ბერლინი, 10 ოქტომბერი (საკდესი). ტრანსოცეანის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს ჰიტლერის სიტყვას, რომელიც მან წარმოსთქვა 1939-1940 წლის „საზამთრო დახმარების" კამპანიის დაწყებისადმი მიძღვნილ კრებაზე. ამ სიტყვაში ჰიტლერმა, სხვათაშორის, სთქვა:

„თუ რა მოგველის მომავალში, არავინ იცის. მაგრამ ერთი რამ სრულიად ცხადია — არავითარ ძალას არ შეუძლია კვლავ დააჩოქოს დღევანდელი გერმანია. ჩვენ მტრებს არ შეუძლიათ დაგვამარცხონ იარაღით. არ შეუძლიათ მოგვსპონ ეკონომიურად, გაგვანადგურონ მორალურად. ისინი ვერავითარ პირობებში ვერ მოესწრებიან გერმანიის ახალ კაპიტულაციას. მე განვაცხადე, რომ ჩვენ მზად ვართ ზავი ჩამოვაგდოთ. გერმანიას არავითარი საფუძველი არა აქვს ომი აწარმოოს დასავლეთში. დასავლეთის სახელმწიფოებმა ომი სასაცილო მიზეზებით დაიწყეს. გერმანიამ გამოწვევა მიიღო და მზად არის ომი ბოლომდე განაგრძოს, თუ ჩვენი სამშვიდობო წინადადებანი უარყოფილი იქნებიან. არც მომენტის საშინელებას და არც განცხადებებს ხანგრძლივი ომის შესახებ არ შეუძლიათ შეგვაშინონ და უკან დაგვახევინონ".

ჩან კაი-შის მიმართვა ჩინეთის რესპუბლიკის 28 წლისთავის გამო

ჩუნცინი, 10 ოქტომბერი (საკდესი). ჩინეთის რევოლუციის 28 წლისთავისა და რესპუბლიკის გამოცხადების გამო ჩან კაი-შიმ გამოაქვეყნა დიდი მიმართვა ჩინეთის ხალხისადმი. მიმართვაში ნათქვამია, რომ მანამ, ვიდრე ჩინეთის რევოლუციის ამოცანა შესრულებული არ იქნება, შეუძლებელია მტკიცე მშვიდობიანობა ჩინეთისათვის. ჩან კაი-ში აფრთხილებს მთელ ერს შემცდარ შეხედულების წინააღმდეგ, შესაძლებელია განმათავისუფლებელი ომის მალე დამთავრებაო. განმათავისუფლებელი ომის გზაზე, აცხადებს იგი, დიდი სიძნელეები გვხვდება და მთელი ერი მზად უნდა იყოს შემდგომი მსხვერპლისათვის. განმათავისუფლებელი ომის გამარჯვება ან მარცხი ერთნაირად არის დამოკიდებული როგორც ქვეყნის შეიარაღებულ ძალებზე, ისე მოსახლეობაზედაც, რომელსაც შეუძლია დახმარება გაგვიწიოს იმ მხრივ, რომ დავამარცხოთ იაპონია ბრძოლის ყველა უბანზე— სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიურ უბნებზე.

„ჩვენ,—ამბობს ჩან კაი-ში,—არ შეგვიძლია უარვყოთ ის ფაქტი, რომ ჩვენი განმათავისუფლებელი ომის და რევოლუციის ამოცანა დაკავშირებულია სიძნელეებთან. მომავალში ჩვენ კიდევ უფრო მეტ სიძნელეებს მოველით. სავსებით ცხადია, რომ ჩვენი გამარჯვება დამოკიდებულია ჩვენს გადაწყვეტილებაზე— მზად ვიყოთ მსხვერპლის გასაღებად და ჩვენს მზად ყოფნაზე— განვაგრძოთ სამღვთო ბრძოლა, რომლის ინტერესებისათვისაც ამ მსხვერპლის გაღება გვიხდება.

ჩვენ უნდა გავწმინდოთ ჩვენი რიგები ყველა მოღალატისაგან, რათა დავამსხვრიოთ მტრის მიერ შექმნილი მარიონეტული რეჟიმები, მოვახდინოთ მოსახლეობის მობილიზაცია ზურგსა და ფრონტის ზოლში და განსაკუთრებით იმათი, ვინც ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფება.

მანამ, ვიდრე ჩვენ არ განვთავისუფლდებით გამცემლებისაგან, ჩვენ არ გვექნება ჩვენი ნაციონალური არსებობის შენარჩუნების საშუალება".

მდგომარეობა დასავლეთის ფრონტზე

ჰელსინკი, 10 ოქტომბერი (საკდესი). როგორც „ჰელსინგინ სანომატის" პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, საფრანგეთის გენერალური შტაბი ფიქრობს, რომ გერმანელები უახლოეს მომავალში შეტევას დაიწყებენ ტიონვილის რაიონში. გერმანელებს სურთ დაიბრუნონ საფრანგეთის ჯარის მიერ ოკუპირებული ტერიტორია, კერძოდ, სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი ვარდტის ტყე. თუ ამ ტყის ხელში ჩაგდება შესძლეს, უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობა მოხერხებულ გამოსავალ პოზიციას მიიღებს შეტევის განგრძობისათვის. მაგრამ ვარდტის ტყის დაკავების შემდეგ ფრანგებმა ძლიერ გაამაგრეს თავიანთი პოზიციები. ჰფიქრობენ, რომ საეჭვოა გერმანელებმა შესძლონ ამ რაიონის ხელში ჩაგდება.

8 და 9 ოქტომბერს გერმანიის არტილერია დასავლეთის ფრონტზე მეტად აქტიურად მოქმედებდა, საათში 400 ყუმბარას ესროდა საფრანგეთის ტერიტორიას. საფრანგეთის არტილერია გერმანელთა ცეცხლს ენერგიულად უპასუხებდა.

ინგლისის თვითმფრინავთა დამზვერავი გაფრენები

ლონდონი, 10 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც თან ახლავს საფრანგეთში მყოფ ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებს, სწერს, რომ ინგლისის 4 თვითმფრინავმა პირველად მოახდინა დღისით დამზვერავი გაფრენები ფრონტის გასწვრივ საფრანგეთიდან ჩრდილოეთის ზღვამდე. ამ გაფრენების მიზანი იყო შეემოწმებინათ საზღვრიდან შტაბის მიერ მიღებული უკანასკნელი ცნობები გერმანიის საზღვრისპირა ქალაქების მოსახლეობის ევაკუაციის, აახენის მახლობლად ჯარის დიდი გადაყვან-გადმოყვანის, საჰაერო ძალების მნიშვნელოვანი კონცენტრაციისა და ფორტიფიკაციათა გაძლიერებული მშენებლობის შესახებ. ჰფიქრობენ, რომ ინგლისის თვითმფრინავების მიერ გაკეთებულ ფოტო-გადაღებებს დიდი მნიშვნელობა ექნება.

განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 10 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის ფინანსთა მინისტრმა საიმონმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ჩემბერლენი განცხადებით გამოვა თემთა პალატაში 12 ოქტომბერს და არა 11 ოქტომბერს, როგორც ეს გათვალისწინებული იყო.

რეიტერის სააგენტო აგრეთვე იუწყება, რომ სამხედრო მინისტრი ჰორ-ბელიშა განცხადებით გამოვა თემთა პალატაში არა 12-ს, არამედ 11 ოქტომბერს. საერთაშორისო საკითხებს 12 ოქტომბერს განიხილავენ, კამათი ინფორმაციისა და რადიოგადაცემის სამინისტროს მუშაობის შესახებ 11 ოქტომბერს გაიმართება.

კომუნისტი დეპუტატები სამხედრო სასამართლოს წინაშე

ბერლინი, 10 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროს მიერ პარიზიდან მიღებული ცნობით, ბადრავის თანხლებით ჩაჰყავთ პროვინციაში დაპატიმრებული კომუნისტი-დეპუტატები. კომუნისტები წარსდგებიან სამხედრო სასამართლოს წინაშე, სადაც მათ მაშინვე დაჰკითხავენ. უკანასკნელი ცნობებით, დაპატიმრებულია 40-ზე მეტი დეპუტატი.

მშვიდობიანობის სასარგებლო მოძრაობა ინგლისში

ლონდონი, 10 ოქტომბერი (საკდესი). ლეიბორისტული პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს სულ უფრო-და-უფრო ხშირად გამოაქვთ რეზოლუციები, სადაც ომის შეწყვეტას მოითხოვენ. ლეიბორისტული პარტიის ბედფორდშირის ორგანიზაციის რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ამ უკანასკნელი დღეების ამბები ომის დამთავრების სრულ შესაძლებლობას იძლევა. ომიდაგმობილ უნდა იქნას, — ნათქვამია რეზოლუციაში,— რადგან იგი საშუალებად გადაიქცა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისათვის დაიცვან იმპერიალისტებისა და მმართველი კლასის ინტერესები.

ჩრდილოეთ შოტლანდიის რკინიგზელთა ნაციონალური კავშირის საოლქო პროფსაბჭომ მოიწონა კავშირის აღმასკომში შეტანილი შემდეგი რეზოლუცია: „რადგან ჩვენ ვთვლით, რომ ნაციონალური მთავრობა იმპერიალისტურ ომს აწარმოებს, მოვითხოვთ საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტას. ჩვენ სავსებით მხარს ვუჭერთ საბჭოთა კავშირის პოლიტიკას, რომელიც ისწრაფვის გააერთიანოს ყველა ქვეყანა ჭეშმარიტ სამშვიდობო ბლოკში. ამიტომ მოვუწოდებთ რკინიგზელთა კავშირის ყველა ორგანიზაციას მიაღწიოს ნაციონალური მთავრობის გადადგომას და ისეთი მთავრობის არჩევას, რომელიც უაღრესად მჭიდროდ ითანამშრომლებს საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად. კავშირის აღმასკომს წინადადება ეძლევა მოითხოვოს ეს ლეიბორისტული პარტიისა და ტრედუნიონების გენერალური საბჭოს აღმასკომისაგან".

შოტლანდიის რკინიგზელთა ნაციონალური კავშირის საოლქო საბჭოს მოწოდების თანახმად, ამავე კავშირის ედინბურგისა და აღმოსავლეთ შოტლანდიის რაიონულმა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც წამოყენებულია ასეთივე მოთხოვნა. საბჭო მოწოდებით მიმართავს რკინიგზელთა კავშირის ყველა ნაციონალურ ორგანიზაციას გააძლიეროს თავისი მოღვაწეობა, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრას.

სალფორდის სავაჭროების მოსამსახურეთა კავშირის განყოფილება მოითხოვს, რათა მუშებმა დაიწყონ კამპანია სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის სასარგებლოდ.

ლეიბორისტული პარტიის სამხრეთ ლონდონის ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარემ წერილით მიმართა ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობას; ამ წერილში კომიტეტი დაჟინებით მოითხოვს სამშვიდობო კონფერენციის მოწვევას. „თუ ომი გაგრძელდა, —აღნიშნულია ამ წერილში.—ამით დაზარალდებიან მხოლოდ მუშები".

ამერიკის სენატმა გამოიტანა გადაწყვეტილება ნეიტრალიტეტის კანონის გადასინჯვის შესახებ

ლონდონი, 10 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, ამერიკის სენატმა 65 ხმით 26 ხმის წინააღმდეგ მოიწონა რუზველტის წინადადება ნეიტრალიტეტის კანონის გადასინჯვის შესახებ. ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სენატორმა ტოუბიმ წინადადება შეიტანა, რათა რუზველტის წინადადება ხელმეორედ განსახილველად გადაეცეს კომისიას იარაღის გაზიდვის ემბარგოს გაუქმების გადავადების მიზნით.

„სინხუაჟიბაო" სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ

ჩუნცინი, 10 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთი „სინხუაჟიბაო" სტატიაში, რომელსაც სათაურად აქვს „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელობა", აღნიშნავს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის წარმატებას. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულება მეგობრობისა და საზღვრის შესახებ, საბჭოთა კავშირ-ესტონეთისა და საბჭოთა კავშირ-ლატვიის ურთიერთდახმარების პაქტები,—სწერს გაზეთი,—ყოველივე ეს მოწმობს სსრ კავშირის მშვიდობიანი დიპლომატიის წარმატებას. ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე, ევროპის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებში ყველა პატარა ქვეყანა იმედით შეჰყურებს სსრ კავშირს, როგორც მშვიდობიანობის დამცველს.

ეს წარმატებანი მოპოვებულია სსრ კავშირის ხალხთა მძიმე ბრძოლით. ისინი წარმოადგენენ სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობის შედეგებს, იმის შედეგებს, რომ წარმატებით ხორციელდება სსრ კავშირის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა მრავალი წლის მანძილზე.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა, სწერს გაზეთი, ააშკარავებს იმ ზოგიერთი სახელმწიფოს ინტრიგებს, რომლებიც ცდილობდნენ და ცდილობენ შეჰქმნან წინააღმდეგობანი სსრ კავშირსა და გერმანიის შორის. სსრ კავშირი თავისი პოლიტიკით უზრუნველჰყოფს მშვიდობიანობას აღმოსავლეთ ევროპაში. სსრ კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის წარმატება შეეფერება მთელი მსოფლიოს ხალხთა ინტერესებს. ეს წარმატება ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს საბჭოთა კავშირის სიდიადესა და ძლიერებას.

საფრანგეთის მშრომელთა მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება ომთან დაკავშირებით

ბელგიის გაზეთ „ვუა დიუ პეპლმა" გამოაქვეყნა მასალა, რომელიც მოწმობს საფრანგეთის მშრომელთა მდგომარეობის არაჩვეულებრივ გაუარესებას ომთან და რეაქციის გაძლიერებასთან დაკავშირებით. გაზეთს მოჰყავს ფაქტები ინდუსტრიული რაიონის ჟემონის (ნორის დეპარტამენტი) მუშათა მდგომარეობის შესახებ 40-საათიანი კვირა, რომელსაც საფრანგეთის მშრომელებმა თავის დროზე მიაღწიეს, შეცვლილია 60-საათიანი სამუშაო კვირით. ამავე დროს მუშათა ხელფასმა არამც თუ არ მოიმატა, არამედ კიდევ უფრო შემცირდა. საფრანგეთის მუშა იძულებულია ახლა დღეში 10 საათი იმუშაოს და წინანდელზე ნაკლები ხელფასი მიიღოს. თუ ომამდე ჟემონის რაიონის მეორე კატეგორიის მუშა საათში 8,8 ფრანკს აკეთებდა, ახლა იგი 6,6 ფრანკს იღებს. თანაც, მუშას 40 სამუშაო საათს უნაზღაურებენ, მიუხედავად იმისა, რომ იგი კვირაში ფაქტიურად 60 საათს მუშაობს. გარდა ამისა, არსებობს მრავალი გამოქვითვანი, მათ შორის 15-პროცენტიანი გამოქვითვა ომის საჭიროებისათვის და სხვ.

გაზეთი აღნიშნავს, რომ თუმცა მთავრობამ განაცხადა — კაპიტალისტებს შემოსავალი შეუმცირდათო, მაგრამ ისინი წინანდებურად უდიდეს მოგებას იღებენ, ხოლო ომის მთელი სიმძიმე მშრომელთა კისერზე გადადის.

„ვუა დიუ პეპლი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საფრანგეთში კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში იმყოფებიან უცხოელი მუშები. მაგალითად, ამავე ჟემონის რაიონში ბელგიელი მუშა თანაბარი სამუშაოს შესრულებაში იღებს ფრანგი მუშის ისედაც შეკვეცილი განაკვეთის მხოლოდ ნახევარს.

10 ოქტომბერი. (საკდესი).



გორის კინოთეატრი „კომკავშირელი"

ფოტო რ. აკოფოვისა

აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავი

აღმოჩენილია ახალი ძვირფასი მასალები პოეტის ცხოვრების და შემოქმედების შესახებ

საქართველოს სახელმწიფო სალიტერატურო მუზეუმმა, დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის იუბილესათვის მზადებასთან დაკავშირებით, პოეტის სამშობლოში— საჩხერეში—გაჰგზავნა სპეციალური ექსპედიცია, შემდეგი შემადგენლობით: დოცენტი გ. აბზიანიძე (ხელმძღვანელი), მუზეუმის მეცნიერ მუშაკები—თ. ოქროშიძე, დ. შულღიაშვილი, თ. ქავთარაძე და გ. ინასარიძე.

ექსპედიციამ საჩხერეში ერთ თვეს დაჰყო და შეაგროვა ძვირფასი მასალები აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

ექსპედიციის მთავარი ბაზა მოთავსებული იყო სოფელ სხვიტორში, აკაკი წერეთლის სახლში. ექსპედიციის წევრებმა ინახულეს აგრეთვე ქალაქი ჭიათურა და სოფლები: სავანე, საირხე, ჩიხა, კალვათი, ქორეთი, კვერეთი, სადაც აქამდე ცოცხალი არიან ის პირები, რომლებიც პირადად იცნობდნენ პოეტს.

ექსპედიციამ შეიძინა მრავალი ძვირფასი ნივთი, რომლებიც პოეტის მეგობრებთან და ნათესავებთან ინახებოდა. შეძენილია წიგნები, რომლებიც პოეტს ეკუთვნოდა, ჩაის მოწყობილობა, წერეთლის ოჯახის საგვარეულო ალბომი, აკაკი წერეთლის მშობლების, მისი ძმების, დების და აგრეთვე თვით პოეტის ფოტო-სურათები.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ექსპედიციის მიერ შეძენილი წერეთლის ოჯახის გენიალოგიური ცხრილი, რომელიც შედგენილია პოეტის ძმის დავით წერეთლის მიერ. ამ ცხრილს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოეტის ბიოგრაფიისათვის.

სოფელ სპეთის მცხოვრებმა, აკაკი წერეთლის მეგობარმა გიორგი ზაბახიძემ ექსპედიციას გადასცა პოეტისაგან მიღებული წერილები.

სოფელ სხვიტორის მცხოვრებლებმა ხოჯანა სარალიძემ და საჩინო გოშაძემ, აგრეთვე სოფელ ქორეთის მცხოვრებმა ისაია ქამუშაძემ ექსპედიციის წევრებს გაუზიარეს თავიანთი მოგონებანი პოეტის შესახებ. ისინი პირადად იცნობდნენ აკაკი წერეთელს და არა ერთხელ უსაუბრნიათ მასთან.

ექსპედიციის წევრებმა ჩასწერეს პოეტის ძმისწულის ვასილ წერეთელისა და მისი რძლის მარიამ ციციშვილის მოგონებანი.

სოფელ სავანეში, სადაც ძიძასთან —მანო სადუნიშვილთან იზრდებოდა აკაკი წერეთელი, ექსპედიციის წევრები ესაუბრნენ 104 წლის აბელ სადუნიშვილს. იგი აკაკი წერეთელთან ერთად იზრდებოდა და კარგად ახსოვს პოეტის ბავშვობა. აბელ სადუნიშვილმა ექსპედიციას გადასცა მრავალი ძვირფასი მასალა თავისი ბავშვობის ამხანაგის შესახებ.

ექსპედიციამ ჩაატარა აკაკი წერეთლის ბიბლიოთეკისა და ყველა ნივთის აღწერა, რომლებიც პოეტის სახლში, სოფელ სხვიტორში მოიპოვება და აგრეთვე შეადგინა ამ სახლის რესტავრაციის გეგმა.

ამჟამად საქართველოს სახელმწიფო სალიტერატურო მუზეუმი ექსპედიციის მასალებს ამზადებს დასაბეჭდად. მასალების ნაწილი მზადდება საიუბილეო გამოფენისათვის. (საქდესი).

ახალი პიესები

საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სარეპერტუარო განყოფილებამ მიიღო და დასადგმელად დაამტკიცა ს. შანშიაშვილის პიესა „გიორგი სააკაძე". ამ პიესის დადგმა 1940/41 წლის სეზონში გათვალისწინებული აქვს რუსთაველის სახელობის ორდენოსან აკადემიურ თეატრს. სარეპერტუარო განყოფილებამ მიიღო აგრეთვე პოლიკარპე კაკაბაძის ახალი პიესა „ბაყათარის ხმალი". წელს სარეპერტუარო განყოფილებამ ნება დართო დაიდგას რაიონულ თეატრში დ. თაქთაქიშვილის პიესა — „წინ" (დაწერილია იაპონელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ჩინეთის პროლეტარიატის ბრძოლის თემაზე), ლ. ისაკოვის პიესა — „ხალხისათვის", (ასახავს ქიზიყელი რევოლუციონერი გლეხის ჰუჰულაშვილის ცხოვრებას და ბრძოლას) და ლ. გოთუას მეცნიერულ - ფანტასტიკური პიესა — „ეამთა საიდუმლო".

სახელმწიფო უნივერსიტეტში

„ბატონყმობის გაუქმება საქართველოში". — ამ თემაზე დღეს, ნაშუადღევის 1 საათზე № 93 აუდიტორიაში შესდგება დოც. პ. გუგუშვილის ლექცია.

№ 89 აუდიტორიაში ნაშუადღევის 1 საათზე შესდგება დოც. პ. თავხელიძის ლექცია — „სტალინური მოძღვრება სოციალისტურ სახელმწიფოზე".

ფეხბურთი

11 რესპუბლიკის გუნდების შეჯიბრება

12 ოქტომბრიდან იწყება მოკავშირე რესპუბლიკათა პირველობის გათამაშება ფეხბურთში. ამ გათამაშების მიზანია გამოამჟღავნოს 3 უძლიერესი გუნდი, რომელსაც უფლება ექნება მონაწილეობა მიიღოს 1940 წელს ოსტატ ფეხბურთელთა „ბ" ჯგუფის პირველობის გათამაშებაში.

გათამაშებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის გუნდები, რომლებმაც რესპუბლიკის თასი ან პირველობა მოიპოვეს.

საქართველოდან შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს 1939 წლის ჩემპიონი — თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდი. 12 ოქტომბერს ლენინაკანში შესდგება პირველი მატჩი ადგილობრივ „დინამოსა" და თბილისის უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. თუ მატჩი ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა, მაშინ იგი ბაქოს „ლოკომოტივს" შეხვდება.

უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდს ოსტატთა „ბ" ჯგუფში გადასვლისათვის 3 მატჩის მოგება სჭირდება.

სასამართლოს ქრონიკა

ცოლის მკვლელის გასამართლება

1939 წლის 20 ივნისს ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე გიორგი [illegible]-ძე ქურხულმა—(კოტე მესხის ქ. № 8) ჯერ დანით და შემდეგ რკინის კეტის თავში დაკვრით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა თავის ცოლს ანა სანდროს-ასულ ამანათიძეს, რომელიც სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

გ. ქურხული დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს. ამ საქმეზე უკვე დამთავრდა კვლევა-ძიება. ცოლის მკვლელის გიორგი ქურხულის საქმის საჯარო სახვენებელი გარჩევა მოხდება 13 ოქტომბერს ვოროშილოვის სახელობის კლუბში.

მკვლელს გაასამართლებს ლ. ბერიას სახელობის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო ამხ. მ. ბუხრაშვილის თავმჯდომარეობით. სახელმწიფო ბრალდებას დაიცავს ლ. ბერიას სახელობის რაიონის პროკურორი ამხ. დ. ჯიბლაძე.

○

სპეკულანტების გასამართლება

13 ოქტომბერს ლ. პ. ბერიას სახელობის კულტურის სახლში დაიწყება მსხვილი სპეკულანტების ზაალ არსენის-ძე ჯინჯიხაშვილის და არშაკ იაკობის-ძე ფარმანიანის საჯარო საჩვენებელი გასამართლება. სპეკულანტებს გაასამართლებს კიროვის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო ამხ. გიორგობიანის თავმჯდომარეობით და სახელმწიფო ბრალმდებლის, კიროვის რაიონის პროკურორის ამხ. ებანოიძის მონაწილეობით.

დღეს სტადიონზე

დღეს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგება ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების („ა" ჯგუფი) მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო" შეხვდება სტალინოს „სტახანოველს". გათამაშების პირველ წრეში ამ გუნდების შეხვედრა (ქ. სტალინოში) თბილისელების გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 4:2.

„სტახანოველის" ფეხბურთელთა გუნდს უკვე ნათამაშევი აქვს 21 მატჩი, შეგროვილი აქვს 16 ქულა.

დღეს ორივე გუნდი ძირითადი შემადგენლობით ითამაშებს.

მატჩი დაიწყება დღის **4** საათზე.

იშვიათი შემთხვევა

ამ რამდენიმე დღის წინათ თბილისში მოქ. მარიამ ნასყიდას-ასულ ცატუროვას (შირაქის შეს. № 7) სამი ბავშვი ეყოლა. სამივე ვაჟია. ბავშვებიც და დედაც კარგად არიან.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „სევანის მეთევზეები"; **ოქტომბერი** — „ცეცხლოვანი წლები"; **დამკვრელი** — „სევანის მეთევზეები"; **კომკავშირელი** (საზაფხულო) — „უკანასკნელი ბანაკი"; **კომკავშირელი** (ზამთრის) — „ლაშქრობა მთაში"; **სპარტაკი** — „დიდი ქალაქის ჩირაღდნები"; **რ. ლუქსემბურგის სახ.** — „საზღვარზე"; **26 კომისრის სახ.** — „ცხარე დღეები"; **კომინტერნი** — „ვაჟკაცობა".

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

13 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება პროპაგანდისტთა სემინარის ყველა რგოლის მორიგი მეცადინეობა.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში პროპაგანდისტების, მომხსენებლების, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" დამოუკიდებლად შესწავლას, ყოველდღიურად სწარმოებს კონსულტაციები მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებზე, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე.

კონსულტაციები სწარმოებს დილის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე ქართულ და რუსულ ენებზე.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1511360, გაცემული რაჟდენ დავითის-ძე ჩარტიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომი აცხადებს, რომ 1936 წლის ნიმუშის პარტბილეთი № 1549564, გაცემული კონსტანტინე გიორგის-ძე არჯევანიძის სახელზე, და პარტბილეთი № 1549696, გაცემული ამავე რაიკომის მიერ ალექსი სოლომონის-ძე ენუქიშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 1672428, გაცემული ქ. თბილისის სტალინის რაიკომის მიერ სამსონ ტონოს-ძე ოგანეზოვის სახელზე, გაუქმებულია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

12 ოქტომბერს	14 ოქტომბერს	15 ოქტომბერს
მუდმ. ადგ. ტალ. № 17	მუდმ. ადგ. ტალ. № 18	მუდმ. ადგ. ტალ. № 19
ტრავიატა	**ქეთო და კოტე**	**აიდა**

დასაწყისი 8 ს. აბონემენტებზე განაცხადთა მიღება და აბონემენტების გაცემა თეატრის სალაროში. სალარო ღიაა 11—4 ს. და 5—9 ს.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

1939 - 40 წ. სეზონი

გამოშვებულია ინდივიდუალური შეღავათიანი აბონემენტები 15 სპექტაკლისათვის

ღირებულების ნაწილ-ნაწილ გადახდით 8 თვის განმავლობაში.

განაცხადების მიღების უკანასკნელი ვადა 20 ოქტომბერი. განაცხადები მიიღება თეატრის სააბონემენტო სალაროში დღის 12-დან 4-მდე და საღ. $6^1/_2$-დან $8^1/_2$ საათამდე. 2—2 30

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

1939-40 წ. სეზონი.

12/X	14/X	15/X
მუდმ. ადგ. ტალონი № 20	მუდმ. ადგ. ტალონი № 21	მუდმ. ადგ. ტალონი № 22
მთაგრეხილზე	**შემოდგომის აზნაურები**	**უდანაშაულო დამნაშავენი**

სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე.

ამხ. ბერიას სახ. კულტურის სახლი (1-ლი მაისის ქ. № 10 შესასვლელი ბერიას სახელობის მოედნიდან)

სახელმწიფო ოპერეტის თეატრის წარმოდგენა

12 ოქტომბერს უკანასკნელად **ქორნილი მალინოვკაში**

სამხ. ხელმძღვანელი **ა. ნ. ოლგარი** დასაწყისი საღ. 9 საათზე.

ბილეთების წინასწარ შეძენა დილის 11 ს-დან 3 ს-დე. საღ. 6 საათ. 11 ს.

სახცირკი, ტელ. 3-11-44

12 ოქტომბერს **ცირკის** 12 ოქტომბერს

1939-40 წ. სეზონის გახსნა

დასაწყ. საღ. $8^1/_2$ ს. სალარო 10 ოქტომბრიდან დღის 12 ს-დან 2 ს-დე და 5 ს-დან.

მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრი

15 ოქტომბერი **სეზონის გახსნა** 15 ოქტომბერი

შ. დადიანი **ნაპერწკლიდან**

4 მოქმედებად 17 სურათად.

სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 ს-მდე.

13 ოქტომბრიდან კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის სეანს. დასაწყ. 6-30, 8, 9-30, 11	ახალი ხმოვანი მხ. ფილმი **სევანის მეთევზეები** სკყ № 83
ოქტომბერი სეანს. დასაწყ. 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმ. მხატ. ფილმი **ცეცხლოვანი წლები** სკყ № 82
დამკვრელი (ზამთრის) სეანს დასაწყ. 6-30, 8, 9 30, 11	ახალი ხმოვ. მხატვრ. ფილმი **სევანის მეთევზეები** სკყ № 81
კომკავშირელი (საზაფხ.) სეანს. დასაწყ 8, 9-45	მხატვრ. ხმ. ფილმი **აეროგრადი** სკყ № 80
კომკავშირელი (ზამთრის) სეანს. დასაწყ. 6 30, 8, 9-30, 11	ხმოვანი მხატ. ფილმი **დარიკო** მეხი და ელვა
სპარტაკი 6-30, 8-30, 10-30	ხმ. მხატვრ. ფილმი **დიდი ქალაქის ჩირაღდნები** სკყ № 84
რ. ლუქსემბურგის სახ. სეანს. დასაწყისი 6-30, 8, 9-30, 11	ხმოვანი მხატვრული ფილმი **ვაჟკაცობა** სკყ № 83
26 კომისრის სახ. სეანს. დასაწყ. 6 30, 8-30, 10-30	მხატვრული ხმოვანი ფილმი **ლაშქრობა მთაში**
კომინტერნი სეანს. დასაწყ. 6 8, 10	ხმ. მხ. ფილმი **შემთხვევა პატარა სადგურზე** სკყ № 79
ორჯონიკიძის სახ. კულტ. დ. ც. პარკი	**ივან გუდოვი**

ცენტრალური რევმატოლოგიური დისპანსერი განაახლებს მუშაობას ა. წ. 15 ოქტომბრიდან

ავადმყოფთა მიღება რაიონული ექიმების, ამბულატორიების და სხვა სამკურნალო დაწესებულებათა მიმართვით საღამოს 5-დან 9 საათამდე.

ლენინის ქ. № 49 ტელეფ. 3-18-00 766

სსრ ჯანსახკომის კურორტთა მთავარ სამმართველოს მიხა ცხაკაიას სახელობის კურორტოლოგიის ინსტიტუტი

თბილისი, ლენინის ქ. № 49

ტელეფ.: ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტი 3-41-89
„ დირექტორის მოადგილე 3-18-00
„ საფინანსო განყოფილება 3-41-88
„ სამორიგეო 3-18-00

არის შემდეგი სპეციალური განყოფილებები:

1. თერაპიული კლინიკა.
2. ნერვულ დაავადებათა განყოფილება.
3. გინეკოლოგიური განყოფილება.
4. ფიზიოთერაპიული განყოფილებები: ა) სინათლით და ულტრა-მოკლე ტალღებით მკურნალობის, ბ) ელექტრო-მკურნალობის, ვ) წყლითა და ტალახით მკურნალობის.
5. რენტგენის განყოფილება.
6. სამკურნალო ფიზკულტურის განყოფილება.
7. ბიოქიმიური და კლინიკურ დიაგნოსტიკური ლაბორატორია.
8. კარდიოგრაფიული კაბინეტი.
9. პოლიკლინიკა: თერაპიული, ნევროლოგიური, გინეკოლოგიური და სხვა კაბინეტებით.
10. ექსპერიმენტულ-ბალნეოლოგიური ლაბორატორია.

მუშაობა სწარმოებს დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

765 **ინსტიტუტის დირექტორი ექ. დ. კილურაძე.**

ექიმი მარიამ გრიგოლის ასული კეჩხუაშვილი ქმარშვილით იუწყება ძვირფასი დიდედის
თამარ ოთარის-ასულ კეჩხუაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 13/X 4 ს. ვაკის სასაფლაოზე. 3409

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშფაკის პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალი იუწყება თანამშრომელ ნიკო მარკოზაშვილის შვილის
პატარა ჯემალის
გარდაცვალებას. 3410

შვილი გრიგოლ კეჩხუაშვილი მეუღლით ოლღათი, შვილებით მართოთი, ვერათი, ლადოთი, ლევანით, თამარით და არჩილით იუწყება ძვირფასი დედის
თამარ ოთარის-ასულ კეჩხუაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 12/X 7 ს. მცირე ტრიბუნალის ქ. № 9. დაკრძალვა 13/X 4 ს. 3423

ბერიას სახელობის კულტურის სახლის დირექცია და ადგილკომი იუწყებიან ამავე კულტურის სახლის დირექტორის ამხ. სერგო პაპუაშვილის დედის
ბარბალე პაპუაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ხაშურში 12/X 4 ს. 3417

შვილი რიტა, სიძე მიხეილ ჯინჭარაძე იუწყებიან, რომ 12/X 1 ს. ვაკის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია ძვირფასი მამის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ორდენოსან
სანდრო კავსაძის
სამოქ. პანაშვიდი. 3420

მშობლები ლოლა, ბიჭიკო, ბაბუა ნოე, ბებია ნინო, ბიძა მამია, მამიდა დარუ; ვენერა, თამარ ქმარშვილით იუწყებიან ძვირფას პატარა
თამაზი ბიჭიკოს-ძე ქუთათელაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა გეგეჭკორში. 3412

დათიკო და თინა ორჯონიკიძეები იუწყებიან საყვარელი ბაბუის
აბესალომ თალხანის-ძე ორჯონიკიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ს. ღორეშაში ა. წ. 3/X. 3421

მეუღლე ეორა, შვილი ნოდარ, დედა ლილოსი, და თამარ და ძმა გრიშა იუწყებიან საყვარელ ექიმ
ქაშუნა (მანასია) თოფურია-გოგაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 15/X 4 ს. ქალაქის მე-2 საავადმყოფოდან. პანაშვიდი იქვე 14/X 6 ს. და 15/X 3 საათზე.

უახლოესი ამხანაგები ჩერნეგა, მაღლაკელიძე, სულავა, რაფალსკი, შავგულიძე, ჩამაშურიანი, პეტრიაშვილი, კაციტაძე იუწყებიან ვასო კუდუხაშვილის სიძის
გეურქა კარაპეტის-ძე საინოვის
გარდაცვალებას. 3413

მშობლები სიმონ, სონა, ძმები სარქის, არტემ, და ნინო, რძალი, ბიძა, დეიდები იუწყებიან საყვარელ
ლუსიკო ათაბეგოვის
გარდაცვალებას. გამოსვენება 13/X 4 ს. აქსტაფის შესახვ. 12. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 3415

ბებია ეფროსინე, ბიძები სოზონი, მამია, ბიცოლები ტატიანა, კატუშა, ბიძაშვილები ჯემიკო, სესილიკო ჩიქოვანები იუწყებიან ძვირფას პატარა
თამაზი ბიჭიკოს-ძე ქუთათელაძის
გარდაცვალებას. 3412

ინვ. კოოპ. არტელ „შეჯიბრის" მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ამავე არტელის გამგეობის თავმჯდომარის სერგო ათაბეგოვის დის
ლუსიკა ათაბეგოვის
გარდაცვალებას. 3416

საქ. სახდაზღვევის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ამავე სამმართველოს თანამშრომელ ვეტერ
პეტრე ლუკას-ძე არჯევანიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/X ორჯონიკიძეში (ყოფ. ხარაგოული). 3411

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის —3—81—65, გამომცემლობის— 3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—1766